სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 28 ივნისი 2000 №121 (1143) | ფასი 50 თეთრი

ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან

ანა, გაააჩინე ჩემგან ბავშვი!

„სარბიელის“ კითხვაზე პასუხი გრეგ რუზედაკის ძვირად დაუჯდა

ათასწლეულის სახლი

დღეს გუშინდელ „სარბიელში“ დაწყებულ საქმეს დავასრულებ და უიმბლდონის პრესცენტრზე მოგითხრობთ.

ჯერ კიდევ 1996-ში იქ, სადაც ამ სტრიქონებს ვწერ, პირველი კორტი იყო და მაყურებლები ისხდნენ. „ოლ ინგლენდ კლაბის“ განახლება-გაუმჯობესების გეგმის შესაბამისად, მთელი სამი წლის განმავლობაში მიმდინარე სამუშაოები რამდენიმე თვის წინ დასრულდა, 20 ივნისს კი კენტელმა ჰერცოგის ქალმა საზეიმოდ გახსნა ეგრეთ წოდებული „მილენიუმ ბილდინგი“, ანუ ათასწლეულის შენობა.

ასო W-ის მოყვანილობის უზარმაზარი კომპლექსი ბაბილონის გოდოლს ჰგავს: მასში ჟურნალისტების გარდა კლუბის წევრები, მოთამაშეები, ფოტოგრაფები, მთავარი და გვერდითი მსაჯები, ორგანიზატორები, პერსონალი და ბურთის მიმტანი გოგო-ბიჭებიც არიან. ჩვენ ერთმანეთისგან გამჭვირვალე მინის კარები, მცირე ბიუროკრატიული ზღუდეები და საშვების წარდგენის აუცილებლობა გვაშორებს.

ეს რომ არა, აქამდე ორ-სამ ექსკლუზიურ ინტერვიუსაც გავჩარხავდი: ჩემგან ორიოდ ნაბიჯზე, მოთამაშეთა რესტორანში შუადღისას უამრავი ვარსკვლავი ისვენებს და ლაყბობს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



ანა კურნიკოვა

ფეხბურთი, რა თქმა უნდა, გუნდური თამაშია, მაგრამ... პორტუგალია — საფრანგეთის დღევანდელ ნახევარფინალში ხალხი ლუიშ ფიგუსა (მარცხნივ) და ზინედინ ზიდანის დუელს ელის

რიცხვების მაგია

ილია ბაბუნაშვილი

ბრიუსელიდან

დღეს შეიძლება „ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ამაღელვებელი“ განმეორდეს

ის იყო 16 წლის წინ, 1984 წლის 23 ივნისს, მარსელის „ველოდრომზე“, საღამოს 8 საათზე. ეს იქნება დღეს, 2000 წლის 28 ივნისს, ბრიუსელის „მეფე ბოდუენზე“, საღამოს 8 საათსა და 45 წუთზე. ერთიცა და მეორეც ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი გახლავთ. მაშინაც პორტუგალია — საფრანგეთი იყო და ახლაც პორტუგალია — საფრანგეთია.

იხილეთ მეორე გვერდი

რიცხვების მაგია



დღეს ბარტეზის დღეობაა...
როგორ ჩაამთავრებს 28 ივნისს 29 წლის ფაბიენი?

დასაწყისი პირველ გვერდზე

1984 წლის პირველობა ევროპული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ულამაზესი. 2000 წლის პირველობა, მართალია, ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მასაც იგივე ბედი უწერია. ამას უკვე დაუფარავად აცხადებენ გულშემატკივრებიც, ჟურნალისტებიც და ფეხბურთის საყოველთაოდ ცნობილი სპეციალისტებიც, რომლებიც, თითქოს, საკუთარი სიტყვებისთვის ფასის დადების მოსაზრებით, ასეთ ნაადრევ განცხადებებს უნდა ერიდებოდნენ.

ნუთუ პორტუგალიელთა და ფრანგთა ნახევარფინალი კარგი ჩემპიონატის ნიშანია?

ის მატჩი, 16 წლის წინანდელი, ყველგან კლასიკად არის მოხსენიებული. „ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ამაღელვებელი“ — არც მეტი, არც ნაკლები. მაშინ ფრანგებმა დამატებით დროში გაიმარჯვეს 3:2. გამარჯვების გოლი 119-ე წუთზე მიშელ პლატინიმ გაიტანა.

რა მოხდება დღეს? ბრწყინვალე ინდივიდუალისტებით დაკომპლექტებული, ოთხივე შეხვედრაში გამარჯვებული პორტუგალია ასევე ვარსკვლავებისგან შეკრულ საფრანგეთს, მიუხედავად მისი მსოფლიო ჩემპიონობისა, არაფერს დაუთმობს. დღეს, მინდორზე, ფაქტობრივად, ოცდაორივე ფეხბურთელს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა, თითოეულისგან მოსალოდნელია რაღაც ისეთი, რის გამოც ევრო 2000-მა დამთავრებამდევე გაითქვა სახელი.

ეს ბუნებრივიცაა. ბოლოს და ბოლოს, როდესაც ევროპის პირველობის ნახევარფინალში ერთმანეთს პორტუგალია და საფრანგეთი ხვდებიან, ისინი ვალდებულნი არიან, საზოგადოებრიობას ძალიან ლამაზი ფეხბურთი აჩვენონ. ამას 1984 წლის 23 ივნისი ავალდებულებთ.

და კიდევ ერთი. მაშინ, 16 წლის წინათ, საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ჟან ტიგანა პორტუგალიასთან თამაშის დღეს 29 წლისა შესრულდა.

ახლა, საფრანგეთის ნაკრების მეკარე ფაბიენ ბარტეზი, პორტუგალიასთან თამაშის დღეს 29 წლისა შესრულდება.

მაშინდელ თამაშამდე ორი დღით ადრე საფრანგეთის ნაკრების ლიდერი მიშელ პლატინი 29 წლისა მოიყარა.

დღევანდელ შეხვედრამდე ხუთი დღით ადრე საფრანგეთის ნაკრების ლიდერს, ზინედინ ზიდანს 28-ე დაბადების დღე ჰქონდა.

თითქოს ზიდანმა რიცხვების მაგია აურია, თუმცა... მისი დაბადების დღე ხომ 23 ივნისი გამოდის, სწორედ ის თარიღი, როდესაც 1984 წლის ნახევარფინალში საფრანგეთმა და პორტუგალიამ კლასიკური ფეხბურთი ითამაშეს.

არა, შეუძლებელია, დღეს „მეფე ბოდუენზე“ საუცხოო თამაში არ შედგეს. მით უმეტეს, ბრიუსელში რამდენიმედღიანი „გვიანი შემოდგომის“ შემდეგ მზემ გამოიხედა...

ბარტეზის კარის გზას ვერ მიმასწავლით?

AFP ერმელოდან

ქალივით ლამაზი და დანასავით ბასრი ნუნუ გომეში

თუ რატომ ეძახიან ნუნუ მიგელ სუარეშ პერეირა რიბეიროს უბრალოდ ნუნუ გომეშს, დღევანდელი „სარბიელის“ ევროპის ჩემპიონატის დღიურში შეგიძლიათ ამოიკითხოთ. ახლა კი ამ ფეხბურთელის შესახებ სხვა ამბებსაც მოგახსენებთ.

ცხოვრებაში ბევრი რამ შემთხვევით ხდება და ლისაბონს და პორტუს შორის მდებარე პატარა ქალაქ ამარანტეში დაბადებული ბიჭის ინგლისელთა კარში გატანილი გამარჯვების გოლიც შემთხვევითობამ განაპირობა. უმბერტუ კოელიუს ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში ცენტრ-ფორვარდად სოსიედადელი რიკარდო ზა პინტუს გამწესება სურდა. გასაკვირი არცაა, ზა პინტუ გომეშზე გამოცდილი ფეხბურთელია. მაგრამ მისმა მცირე ტრავმამ, სწორედ იმ შემთხვევითობამ, ზემოთ რომ ვახსენეთ, ნუნუ გომეშს სასტარტო შემადგენლობაში ამოაყოფინა თავი.

გამოუცდელი და დებიუტანტი არც ბენფიკელ თავდამსხმელს ეთქმოდა, ევროპამდე ნაკრების მაისურა ცამეტჯერ მოერგო, თუმცა გოლი კი ვერ გაეტანა. თითქოს უცნაურიც კია, ბოლო ორ სეზონში ნუნუ გომეშმა „ბენფიკას“ რიგებში 68 შეხვედრა გამართა და 42 ბურთიც მიითვალა, ნაკრებში კი ბედი არ სწყალობდა.

გომეშის მეთოთხმეტე სანაკრებო მატჩში ნავსი გატყდა — გომეშმა გაიტანა, თან ინგლისელთა კარში და თან როგორი საჭირო. მეორე თამაშში, რუმინელთა წინააღმდეგ უმბერტუ კოელიუს უკვე აღარ უყოყმანია და ნუნუ კვლავ თავიდანვე შეუშვა მინდორზე. მერე კი იყო მეოთხედფინალი და გომეშის ორი გოლი. მართალია, თურქთა კარში გატანილი მეორე ბურთი ფიგუს დამსახურება უფროა, მაგრამ პირველში ბენფიკელის კლასი ნამდვილად გამოჩნდა.

„ინგლისთან გატანილმა გოლმა ფრთები შემასხა — ამბობს ფეხბურთელი — ვირწმუნე, რომ კიდევ შევძლებდი გატანას და ეს რწმენა თურქეთის ნაკრებთან შეხვედრაში დიდად დამეხმარა. კლუბთან შედარებით ნაკრებში თამაში უფრო ძნელი იმიტომაცაა, რომ სანაკრებო დონეზე მეტოქის შეცდომის იმედი ნაკლებად უნდა გქონდეს, ყველანი მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, ამიტომ გოლის გასატანად მეტი შრომაა საჭირო. საერთოდ, ცენტრალური თავდამსხმელი პორტუგალიური ფეხბურთის პრობლემაა. ამ პოზიციაზე ცოტა თუ თამაშობს კარგად. ვერ გეტყვით, მე რა გამომივიდა, უფრო უკან დახეულ თავდამსხმელად ყოფნა მომწონს, მაგრამ ვცდილობ, გავაკეთო ის, რასაც მწვრთნელი ჩემგან მოითხოვს“.

რაც უფრო წინ მიიწევს პორტუგალიის ნაკრები, ნუნუ გომეშისთვის გოლის გატანა უფრო ძნელი იქნება. ინგლისი და თურქეთი არ იყვნენ ის გუნდები, რომელთა დაცვის გარღვევაც განსაკუთრებით რთული ამოცანაა, მით უმეტეს, რომ გომეშს ლუიშ ფიგუ უწევდა ასისტენტობას. საფრანგეთი კი სხვა საქმეა — მისი დაცვა ხომ საუკეთესოა ამ ჩემპიონატზე. რას იზამს გომეში? ნუ დავივიწყებთ, რომ მან რუშთუს კარში გატანის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, ისეთები, რომლებიც ბარტეზის კართან, შესაძლოა საერთოდ არ შეიქმნას. გომეში იქნებ თავს იზღვევს, როცა ამბობს, ჯერ მხოლოდ 23 წლის ვარ, ყველაფერი წინ მაქვსო? ცოტაც და ამ კითხვასაც გაეცემა პასუხი.

რაღა დავუმატოთ გრძელთმიანი, პოპ-ვარსკვლავის გარეგნობის მქონე ფეხბურთელის პორტრეტს? ალბათ ის, რომ იგი ირლანდიური როკ-ჯგუფის U2-ს დიდი თაყვანისმცემელია. თუმცა გახურებული ევროპის დროს ბონოს მუსიკის მოსასმენად ვის სცალია, წინ საფრანგეთია. გომეში ამბობს, მას მერე რაც დევიდ სიმენს გავუტანე, ჟურნალისტები გასაქანს არ მაძლევენო. ბარტეზსაც თუ შეუგდო, შემოსევა მერე ნახეთ.

ნახევარფინალის წინ კი ნუნუ მშვენიერ ხასიათზეა და იმედიანადაც არის, რასაც მისი სიტყვებიც ადასტურებს. „საფრანგეთი მშვენიერი გუნდია, მაგრამ დაუმარცხებელი ნამდვილად არა. ჩვენ თავს უფრო სუსტებად არ ვგრძნობთ და ფინალში გასვლის კარგი შანსიც გვაქვს. ყველა ფრანგი ბრწყინვალე ფეხბურთელია, განსაკუთრებით ზიდანი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. თუმცა არც ჩვენ ვართ ნაკლებნი და ჩვენც გვყავს ზიდანის დარი — ლუიშ ფიგუ. ძალიან მინდა მოვიგოთ და 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალიში წაგებისთვის რევანში ავიღოთ“ — განუცხადა ნუნუ გომეშმა პორტუგალიურ „ა ბოლას“.

გიორგი დარჯანია

გუშინ საღამოს საფრანგეთისა და პორტუგალიის ნაკრებთა მთავარმა მწვრთნელებმა როჟე ლემერმა და უმბერტუ კოელიუმ გამართეს პრესკონფერენციები, რომლებმაც, ცხადია, ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

თაობის ბოლო შანსი

ზურაბ მეძველია
ბრიუსელიდან

თავიდან რვად, სამი დღის წინ კი ოთხად გაყოფილი გუნდი შეიკრა. ჟურნალისტთა გუნდზე ვამბობ. დღეს ყველანი (ზუსტ რიცხვს უეფაც ვერ ასახელებს) ბრიუსელში ვართ, „მეფე ბოდუენის“ მიდამოებში, ხვალ კი ამსტერდამის „არენაზე“ ჩავსახლდებით.

სწორედ ამიტომ პორტუგალიელთა პრესკონფერენციაზე ლამის იყო, ჟოაუ პინტუ და მწვრთნელი უმბერტუ კოელიუც ვერ დაეტივნენ. თავიდან ფეხბურთელმა ილაპარაკა, ვინაიდან ნახევარ საათში „მეფე ბოდუენის“ ხასხასა მინდორზე ვარჯიში ეწყებოდა.

„თავს მოვიკლავთ, ეს ჩვენი თაობის ბოლო შანსია“ — წყნარად თქვა ჟოაუ პინტუმ და ასევე განაგრძო — „ლამის 10 წელია, ერთად ვთამაშობთ და ცხადია, ერთმანეთის კარგად გვესმის. მართალია, პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ ნახევარფინალში გასვლა ნაღდად არ გვაკმაყოფილებს. დიახ, ძალზე ძლიერი გუნდია საფრანგეთი, თუმცა მას ჰოლანდიამ მოუგო, რაც იმას ნიშნავს, რომ დამარცხებისგან დაზღვეული არავინაა. შევეცდებით, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ. ბოლო-ბოლო, ყველა მატჩი საგოლე მომენტებისგან



AFP ბრიუსელიდან

უმბერტუ კოელიუ

შედგება და მთავარია, ამას ვინ როგორ გამოიყენებს.“

და ფიგუ? ალბათ მისი იმედი გაქვთ ყველაზე მეტად — იყო კითხვა.

„ცხადია, ფიგუ, ფრანგებში კი ზიდანი მართლაც გამორჩეულები არიან, მაგრამ ხვალ ჩვენ მთელი გუნდი ვიბრძოლებთ და არა მარტო ფიგუ“ — თქვა 28 წლის ბენფიკელმა და წავიდა.

შეტევას აპირებთ? — ამგვარი მიამიტური კითხვით დაიწყო მწვრთნელ უმბერტუ კოელიუსთან შეხვედრის ინგლისური ნაწილი (მანამდე საუბარი პორტუგალიურად და ფრანგულად მიმდინარეობდა).

„ნებისმიერ თამაშში შეტევაც საჭიროა და კარგი თავდაცვაც“ — იყო პასუხი — „ფეხბურთი დაცვიდან შეტევაზე და პირიქით დროულად გადაწყობაა და არა მარტო ფინტები თუ პასები. საჭიროა, რომ ფეხბურთელებმა ერთმანეთი იგრძნონ და შეთანხმებულად იმოქმედონ. რაც მთავარია, შემართება გვაქვს და სწორედ ამიტომ მოვუვეთ ინგლისს, 2:0-ს რომ გვიგებდა. ხვალაც მოედანზე მხოლოდ გამარჯვებისთვის გავალთ. სხვა გზა მოჭრილია...“

ჩვენს უკან ლისაბონიაო, კოელიუს არ დაუყოლებია, ვინაიდან ამ დროს 1984 წლის ნახევარფინალი გაახსენეს. „მაშინ ტრავმის გამო არ მითამაშია, თუმცა მახსოვს, იმდენად დიდებული მატჩი იყო, დიდად არც განმიცდია. მაშინ პორტუგალიას დიდი გუნდი ჰყავდა, საფრანგეთს კი — სუპერგუნდი. ისე, ჩვენ ახლაც შეგვიძლია იმავე დონეზე თამაში.“

ამსტერდამელ ნახევარფინალისტებზე საუბრისას კოელიუმ იტალიის დიდებული ტაქტიკური თამაში, ჰოლანდიელთა კი ჩინებული შეტევა გამოჰყო: „და საერთოდ, ნახევარფინალში ამ ჩემპიონატის ნამდვილად ოთხი უძლიერესი გუნდი გავიდა.“

და ფიგუ? ზიდანი?

„მხოლოდ ამ ორი ფეხბურთელის ინდივიდუალური თვისებები გადამწყვეტი არ იქნება. მთავარი ისაა, ერთიცა და მეორეც როგორ აიყოლიებს თანაგუნდელებს. ტექნიკურად პორტუგალიელები ყოველთვის ძლიერნი ვიყავით, მაგრამ ზშირად გუნდურ თამაშს ვერ ვახერხებდით. ამაზე ბევრი ვიმუშავეთ და ახლაც ამას ვაპირებთ“ — გვითხრა კოელიუმ და მომუშავე გუნდს შეუერთდა.

ლემერმა მეტოქე აქო

რადგან პორტუგალიამ ნახევარფინალში გავიდა, ესე იგი, მას შეცდომები თითქმის არ დაუშვია. მისი ერთადერთი სისუსტე ისაა, რომ ყველა მატჩი მოიგო, — ირონია გაურია ლაპარაკში ლემერმა. ძალიან შეფიქრიანებული ვარ. ვიცი, გაგვიჭირდება. იმედი მაქვს, ღია თამაში იქნება და მაყურებელი ნასიამოვნები დარჩება. ჩემი აზრით, სანახაობა პირველი გოლის მერე იწყება და იქნებ ეს გოლი მალე გავიდეს.

ესპანეთთან მატჩმა ძალიან ბევრი ენერგია წაგვართვა, მაგრამ ყველაფერი გავაკეთეთ ძალების დროულად აღსადგენად და ნახევარფინალს კარგ ფიზიკურ ფორმაში ვხვდებით. ალბათ, ემანუელ პეტიც შეძლებს მატჩის დაწყებას. მუხლი, ფაქტობრივად მოურჩა. კრისტოფ დიუგარის ცხვირი კი აქვს გატეხილი, მაგრამ თამაში მაინც შეუძლია. ერთი სიტყვით, 22-ვე ფეხბურთელი მზად არის. რა თქმა უნდა, დასვენების დამატებითი დღე პორტუგალიას უკეთეს მდგომარეობაში აყენებს. ფინალში იქნებ ეს უპირატესობა ჩვენ გვქონდეს.

თავდასხმაში თავიდან ერთი კაცი გვეყოლება. სავარაუდოდ, ტიერი ანრი. თუმცა არც ნიკოლა ანელკაა გამორიცხული. ორივე გუნდს ბრწყინვალე დირიჟორი ჰყავს. ლუიშ ფიგუსა და ზინედინ ზიდანზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მაგრამ ფეხბურთი გუნდური თამაშია და მათ თავიანთი ნიჭი გუნდის სასარგებლოდ უნდა მიმართონ.

ჩემი აზრით, ფავორიტი, თუმც უდავო არა, მაგრამ მაინც პორტუგალიაა. გამარჯვების შანსები საფრანგეთსაც საკმარისი აქვს. რთული, დაძაბული და იმედია, ლამაზი მატჩი იქნება, — დაასრულა ჟურნალისტებთან საუბარი ბატონმა ლემერმა.

REUTERS ბრიუსელიდან

როჟე ლემერი

ნახევარფინალი. 28 ივნისი. 23⁴⁵

პორტუგალია — საფრანგეთი

ბრიუსელი. „მეფე ბოდუენი“. მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)

ღია თამაშის მოლოდინში

მეოთხედფინალში ესპანეთთან მძიმე მატჩიდან სამ დღეში, მსოფლიოს ჩემპიონებს უფრო რთული შეხვედრა ელით. პორტუგალიამ ევრო 2000-ზე ოთხიდან ოთხჯერ მოიგო, თანაც მეოთხედფინალში თურქეთთან საკმაოდ იოლად, ერთი დღით მეტიც დაისვენა, ასე რომ, მეტოქესთან მცირედი უპირატესობა მაინც გააჩნია.

ესპანელების შეჩერება საფრანგეთის დაცვას ძალიან გაუჭირდა. ამის მთავარი მიზეზი, ალბათ, ესპანელთა სისწრაფე და მუნიტისის გარემარბის პოზიციაზე თამაში იყო. „პორტუგალიელები კიდევ უფრო სწრაფები არიან“ — თქვა ფაბიენ ბარტეზმა და თუ ისინიც კარგად გამოიყენებენ ფლანგებს, „ლურჯებს“ ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ. თუმცა, ბარტეზის წინ მსოფლიოში საუკეთესო დაცვის ხაზია. ლიზარაზუმ, დესაიმ, ბლანმა და ტურამმა პირველად 1996 წელს ითამაშეს ერთად და იქიდან მოყოლებული როცა ეს ოთხეული ძირითად შემადგენლობაში იყო, საფრანგეთის ნაკრებს 24 მატჩიდან ერთიც არ წაუგია.

დღეს კი, ტრადიცია რომ არ დაირღვეს, ჟოაუ პინტუს და ლუიშ ფიგუს ფლანგური გარღვევების ბლოკირება იქნება აუცილებელი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია როჟე ლემერის გადაწყვეტილება, სამი დაცვაზე ორიენტირებული შუახაზელის ძირითადში დაყენებისა — მარცხნივ ემანუელ პეტი, რომელიც, ალბათ ჩეხეთთან მიღებული ტრავმის შემდეგ ბოლოს და ბოლოს მწყობრში იქნება, შუაში დიდიე დეშამპი, რომელიც თავის მეასე სანაკრებო მატჩს ჩაატარებს, მარჯვნივ კი პატრიკ ვიეირა. სწორედ ეს სამეული შექმნის დაცვის პირველ ჯაჭვირს. მათ წინ ზიდანი და ჯორკაეფი იქნებიან. პირველს შეტევების ორგანიზება ევალება, მეორე კი წინ მყოფ ტიერი ანრის უნდა დაეხმაროს პორტუგალიელთა სამკაციანი დაცვის გარღვევაში.

ფერნანდუ კოუტუ და ჟორჟე კოშტა ბაიას კარის მისადგომებს ცენტრიდან გაამაგრებენ. ლაციოელმა შეიძლება ანრის პერსონალურადაც უმეურვეოს. „პორტუს“ წევრი კოშტა კი სერჟიუ კონსეისაუსთან ერთად მარჯვენა ფლანგიდან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილებასაც შეეცდება. მარცხნივ დიმაში იდგება. ფიგუსა და რუი კოშტას გარდა პორტუგალიელებს მოედნის შუაში კოშტინია და პაულუ ბენტუ ეყოლებათ, რომლებიც ზიდან-ჯორკაეფის დუეტის შევიწროებას ეცდებიან. წინ კი ჟოაუ პინტუ და ევრო 2000-ის ერთ-ერთ აღმოჩენად მონათლული ნუნუ გომეში იქნებიან.

მატჩი სანახაობრივად საინტერესო, ღია უნდა გამოდგეს, რადგან ორივე ნაკრებს უყვარს და ეხერხება კიდეც შეტევა.

სერიოზული ტრავმები არავის აწუხებს. დიუგარის ცხვირი კი აქვს გატეხილი, მაგრამ თუ საჭირო გახდა, მაინც ითამაშებსო, ისმის ფრანგთა ბანაკიდან.

გაიოზ თალაკვაძე

ურთიერთშეხვედრები

პორტუგალია	19	საფრანგეთი
5	მოგება	13
1	ფრე	1
13	წაგება	5
26	ბურთები	39

18.04.26	ტულუზი	ა.მ.	2:4
16.03.27	ლისაბონი	ა.მ.	4:0
29.04.28	პარიზი	ა.მ.	1:1
24.03.29	პარიზი	ა.მ.	0:2
23.02.30	პორტუ	ა.მ.	2:0
28.01.40	პარიზი	ა.მ.	2:3
14.04.46	ლისაბონი	ა.მ.	2:1
23.03.47	პარიზი	ა.მ.	0:1
23.11.47	ლისაბონი	ა.მ.	2:4
20.04.52	პარიზი	ა.მ.	0:3
24.03.57	ლისაბონი	ა.მ.	0:1
11.11.59	პარიზი	ა.მ.	3:5
03.03.73	პარიზი	ა.მ.	2:1
26.04.75	პარიზი	ა.მ.	2:0
08.03.78	პარიზი	ა.მ.	0:2
26.02.83	გიმარაეში	ა.მ.	0:3
23.06.84	მარსელი	ე.ჩ.	2:3 (დ.დ.)
24.01.96	პარიზი	ა.მ.	2:3
22.01.97	ბრაგა	ა.მ.	0:2

საგარაუდო შემადგენლობები

პორტუგალია

			ა	წ	თ	გ	თე	გე
1	ვიტორ ბაია	პორტუ	მკ	30	73	0	3	0
2	ჟორჟე კოშტა	პორტუ	მც	28	30	0	4	0
5	ფერნანდუ კოუტუ	ლაციო	მც	30	65	6	4	0
13	მანუელ დიმაში	სტანდარდი	მც	31	36	0	3	0
11	სერჟიუ კონსეისაუ	ლაციო	ნახ	25	27	5	4	3
7	ლუიშ ფიგუ	ბარსელონა	ნახ	27	64	15	3	1
15	კოშტინია	მონაკო	ნახ	25	5	1	3	1
17	პაულუ ბენტუ	ოვიედო	ნახ	31	24	0	3	0
10	მანუელ რუი კოშტა	ფიორენტინა	ნახ	28	54	18	3	0
8	ჟოაუ პინტუ	ბენფიკა	თავდ	28	60	19	3	1
21	ნუნუ გომეში	ბენფიკა	თავდ	23	17	3	4	3

საფრანგეთი

			ა	წ	თ	გ	თე	გე
16	ფაბიენ ბარტეზი	მანჩესტერი	მკ	28	35	0	3	0
15	ლილიან ტურამი	პარმა	მც	28	59	2	3	0
8	მარსელ დესაი	ჩელსი	მც	31	69	2	4	0
5	ლორან ბლანი	ინტერი	მც	34	92	16	3	1
3	ბიქსენტ ლიზარაზუ	ბაიერნი	მც	30	55	2	2	0
4	პატრიკ ვიეირა	არსენალი	ნახ	24	27	0	4	0
7	დიდიე დეშამპი	ჩელსი	ნახ	31	99	4	4	0
17	ემანუელ პეტი	არსენალი	ნახ	29	40	3	2	0
10	ზინედინ ზიდანი	იუვენტუსი	ნახ	28	57	14	3	1
12	ტიერი ანრი	არსენალი	თავდ	22	18	7	3	2
6	იური ჯორკაეფი	ლაუტერნი	თავდ	32	66	26	4	2

ა — ამპლუა, წ — წლოვანება, თ — თამაში, გ — გოლი, თე — თამაში ეკრან 2000-ზე, გე — გოლი ევრო 2000-ზე.

ნახევარფინალი: ვინ რამდენჯერ?

პორტუგალია

26 ივლისი, 1966	ლონდონი	მ.ჩ.	ინგლისი	1:2
23 ივნისი, 1984	მარსელი	ე.ჩ.	საფრანგეთი	2:3

საფრანგეთი

24 ივნისი, 1958	სტოკჰოლმი	მ.ჩ.	ბრაზილია	2:5
6 ივლისი, 1960	პარიზი	ე.ჩ.	იუგოსლავია	4:5
8 ივლისი, 1982	სევილია	მ.ჩ.	გფრ	3:3 (პენ. 4:5)
23 ივნისი, 1984	მარსელი	ე.ჩ.	პორტუგალია	3:2
25 ივნისი, 1986	გვადალახარა	მ.ჩ.	გფრ	0:2
26 ივნისი, 1996	მანჩესტერი	ე.ჩ.	ჩეხეთი	0:0 (პენ. 5:6)
8 ივლისი, 1998	პარიზი	მ.ჩ.	ხორვატია	2:1

მ.ჩ. — მსოფლიოს ჩემპიონატი, ე.ჩ. — ევროპის ჩემპიონატი

დიუგარი იტალიაზე ოცნებობს

მეოთხედფინალში ესპანეთის წინააღმდეგ კრისტოფ დიუგარი ფრანგთაგან უდავოდ გამორჩეული კაცი იყო. არა სხვებს მასზე ნაკლებად არ უთამაშიათ, მაგრამ ბორდოელს მეტოქესთან ერთ-ერთ შეჯახებაში ცხვირი გაუტყდა და მატჩის დარჩენილი ნაწილი ნესტოებში ბამბა გაჩრილმა გაატარა. რას ფიქრობს იგი დღევანდელ ნახევარფინალზე და სხვა საკითხებზე? ახლავე შეიტყობთ:

კრისტოფ დიუგარი

— ამ ტურნირზე ისე თამაშობთ, თითქოს ვიღაც ახალი ფეხბურთელი აღმოგვეჩინოს...

— მეც დამეუფლა იგივე გრძნობა. უფრო თავდაჯერებული ვარ. უკეთესად თამაშიც შემიძლია. უდიდეს სიამოვნებას მგვრის რწმენა, რომ ჩემი საუკეთესო წლები და მატჩები ჯერ კიდევ წინ მაქვს. „ლურჯების“ შემადგენლობაში თამაში უდიდეს სახარულს მანიჭებს, მაგრამ ამავე დროს გულიც მწყდება, რადგან სულ უფრო და უფრო ნაკლები შეხვედრები რჩება. ისე, ვთვლი, რომ 22 კაცში მოხვედრა ერთგვარად გამართლებაა.

— რაშია საფრანგეთის ნაკრების სიძლიერე?

— მიზეზი, ალბათ, მასობრივი ემიგრაციაა. ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები უძლიერეს ჩემპიონატებში იწრთობიან, გამოცდილებას იძენენ და ეს ძალიან ეხმარება ნაკრებს. მართალია, საფრანგეთის ჩემპიონატის დონე ამის გამო ეცემა, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხომ გაგიგონიათ. გარდა ამისა, „ლურჯებს“ განსაკუთრებული თვისება აქვთ — ყველა მოგებისთვის იბრძვის, არცერთი მეტოქის არ გვეშინია.

— ესპანეთსა და პორტუგალიას შორის რა განსხვავებას ხედავთ?

— ეს ორი ნაკრები უფრო მეტად ჰგავს ერთმანეთს, ვიდრე განსხვავდება. ორივე ძალიან ტექნიკური ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, თუმცა პორტუგალიის ძლევა, ალბათ, უფრო გაგვიჭირდება ორი რამის გამო — ოთხიდან ოთხი შეხვედრის მოგებით მათ საკუთარი თავის რწმენა შეემატათ და თანაც ესპანეთზე გაცილებით უკეთესი დაცვა ჰყავთ. ერთი სიტყვით, ძალიან რთული მატჩი გველის, მაგრამ თავს დავდებთ და გავიმარჯვებთ.

— ესპანეთთან ცხვირი რომ გაგიტყდათ, თამაშში ხელი არ შეგიშალათ?

— თავიდან შემეშინდა, რომ მინდვრიდან გასვლა მომიწევდა, რადგან სისხლი მოთქრიალებდა. ათიოდ წუთი მაცალეთ-მეთქი, ვუთხარი როჟე ლემერს. როცა დავრწმუნდი, ცხვირი ხელს დიდად არ მიშლიდა, თამაშის გაგრძელება გადავწყვიტე. მხოლოდ შეხვედრის დამთავრების შემდეგ გავიგე, რომ ცხვირი გამტეხოდა.

— ფინალში ვისთან შეხვედრას ამჯობინებდით?

— იტალიასთან. მაგარი თამაში იქნება. ჰოლანდიას რატომ არა? არ ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ ფორთოხლისფერი არ მიყვარს.

— სწორად ნანობთ, რომ იტალიაში თავი ვერ გამოიჩინეთ?

— დარწმუნებული ვარ, კალჩიოში ჩემ სიტყვას ვიტყოდი. უბრალოდ, დროზე აღრე გადავედი „მილანში“. ერთიორი წელი კიდევ რომ დავრჩენილიყავი საფრანგეთში, გაცილებით უკეთ ვიქნებოდი მზად.

— დავუბრუნდეთ ნახევარფინალს. მეტოქე გუნდიდან ვის გამოარჩევდით?

— რა თქმა უნდა, ლუიშ ფიგუს. ის ძალიან ძლიერია. პორტუგალიელები ამბობენ, ზიდანსაც სჯობსო, მაგრამ ეს ასე არ არის და მალე ყველა დარწმუნდება. სხვა ფეხბურთელებიც მაღალი დონის არიან. გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც მოვიგებთ.

ნუ ელით დუელს, იქნება ომი

პორტუგალიის ნაკრების მარცხენა მცველი მანუელ დიმაში ამჟამად ინტერტოტოდან თბილისის „დინამოს“ გამომგზავნ ლიეჟის „სტანდარდში“ ირიცხება. სამი წლის წინ კი ტურინის „იუვენტუსის“ ღირსებას იცავდა და სწორედ მაშინ დაუმეგობრდა ზინედინ ზიდანს. დიმაში და ზიდანი კარგ მეგობრებად რჩებიან და ამით პორტუგალიელი ამაყობს კიდეც. თუმც დღეს მეგობრობას აღარცერთი დაგიდევთ, რადგან კვლავ ორივეს ფინალში გასვლა ამოუჭრია გულში. გთავაზობთ ინტერვიუს დიმამთან, რომელიც ფრანგულ „ლე პარიზიენში“ დაიბეჭდა.

— რას გრძნობთ მსოფლიოს ჩემპიონებთან შეხვედრის წინ?

— ეს უდავოდ დიდი პატივია, რომელიც ყოველდღიურად არ გერგება. საფრანგეთის ნაკრები ძალიან მომწონს. ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონები არიან, მაგრამ კიდევ მეტი წარმატება და გამარჯვებები სურთ. ფავორიტი ჩვენი მოწინააღმდეგეა, თუმც პორტუგალია ნახევარფინალში შემთხვევით არ გასულა. მინდორზე დავამტკიცებთ, რომ საფრანგეთს არაფრით ჩამოვუვარდებით.

— გამარჯვების შანსი გაქვთ?

— ჩვენი მიზანი ფინალში გასვლაა. საფრანგეთს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ვგრძნობთ, რომ მისი ძლევა შეგვიძლია.

— რითი ახსნით თქვენი ნაკრების ბოლოდროინდელ პროგრესს?

— 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი ნაკრების წევრების უმრავლესობამ ბედის საცდელად უცხოეთს მიაშურა. შედეგად მათ ძალიან დიდი გამოცდილება შეიძინეს. თანაც უკვე ნერვებზე გვშლის იმის გაგონება, რომ ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატების მოგებით (1989 და 91 წლებში) ჩვენმა თაობამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. დავამტკიცებთ, რომ ეს არაა მართალი.

— ინგლისთან გამარჯვებამ ზედმეტი კომპლექსებისგან გაგათავისუფლათ?

— თავიდან ძალიან ვნერვიულობდით და უაზროდ ვთამაშობდით, ამიტომაც ინგლისელები მალე დაწინაურდნენ (2:0). მერე თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, ყველაფერი დალაგდა. ჩვენი თამაში ვიპოვეთ და მეტოქეს ვაჯობეთ. ასეთი გამარჯვებები შეუფასებელია.

— თქვენ ზიდანისა და ფიგუს მხარდამხარ გითამაშიათ, რომელი სჯობს?

— ზიდანი. და ძალიანაც ვამაყობ, რომ მისი მეგობარი ვარ. იგი მოედნის გარეთაც შეუდარებელია. გაოცებული ვარ მისი კეთილშობილებით, ზიდანი ახალგაზრდებისთვის მშვენიერი მისაბაძი მაგალითია. ფიგუ და ზიდანი საუკეთესოთა შორის არიან. მათი შედარება ერთობ ძნელია, რადგან უამრავი დადებითი თვისება აქვთ. ფიგუ უფრო შეტევის დამგვირგვინებელ ფაზაშია ძლიერი. მაშინ, როცა ზიდანს თამაშის წარმართვის არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს. თუმც საფრანგეთი-პორტუგალია მათი დუელი ნამდვილად არ იქნება, შედგება ბრძოლა, რომელშიც ორივე მხრიდან თერთმეტ-თერთმეტი ფეხბურთელი მიიღებს მონაწილეობას.

დიმაში (მარჯვნივ) და ფიგუ ფრანგებთან საბრძოლველად ემზადებიან

თარგმნა გაგი გურულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მეგოლე

5 — პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), სავო მილოშევიჩი (იუგოსლავია)
3 — სერჟიუ კონსეისაუ, ნუნუ გომეში (ორივე პორტუგალია), ზლატკო ზაჰოვიჩი (სლოვენია)
2 — ტიერი ანრი, იური ჯორკაეფი (ორივე საფრანგეთი), ფილიპო ინძაგი, ფრანჩესკო ტოტი (ორივე იტალია), ფრანკ დე ბური, მარკ ოვერმარსი, ბუდევინ ზენდენი (ყველა ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ჩეხეთი), ალან შირერი (ინგლისი), ალფონსო პერესი, გაისკა მენდიეტა (ორივე ესპანეთი), ჰაქან შუქური (თურქეთი)
1 — ლორან ბლანი, სილვენ ვილტორდი, კრისტოფ დიუგარი, დავიდ ტრეზეგე, ზინედინ ზიდანი (ყველა საფრანგეთი), ანტონიო კონტე, სტეფანო ფიორე, ლუიჯი დი ბიაჯო, ალესანდრო დელ პიერო (ყველა იტალია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), ლუიშ ფიგუ, ჟოაუ პინტუ, კოშტინია (ყველა პორტუგალია), ბარტ გოორი, ემილ მპენზა (ორივე ბელგია), კარელ პობორსკი (ჩეხეთი), პოლ სქოულზი, სტივ მაკმანამანი, მაიკლ ოუენი (ყველა ინგლისი), მეჰმეთ შოლი (გერმანია), სტეფან ივერსენი (ნორვეგია), კრისტიან კივუ, დორინელ მუნტეანუ, იონელ განეა, ვიორელ მოლდოვანი (ყველა რუმინეთი), მირან პავლინი (სლოვენია), რაულ გონსალესი, ხოსება ეჩებერია, პედრო მუნიტისი (ყველა ესპანეთი), იოჰან მიალბი, ჰენრიკ ლარსონი (ორივე შვედეთი), ოკან ბურუქი (თურქეთი), ლუბინკო დრულოვიჩი, დეიან გოვედარიცა, სლობოდან კოლიენოვიჩი (ყველა იუგოსლავია)

ერთი ბური საკუთარ კარში იუგოსლავიელმა დეიან გოვედარიცამ გაიტანა

უდისციპლინონი

გაძევებულნი

გეორგე ჰაჯი (რუმინეთი), ალფაი ოზალანი (თურქეთი), სლავიშა იოკანოვიჩი, მატეა კეჟმანი, სინიშა მიხაილოვიჩი (ყველა იუგოსლავია), ფილიპ დე ვილდე (ბელგია), რადოსლავ ლატალი (ჩეხეთი), პატრიკ ანდერსონი (შვედეთი)

გაფრთხილებულნი

ოკან ბურუქი, ჰაქან უნსალი, ოგიუნ თემიზჩანოღლუ (ყველა თურქეთი), ჟოაუ პინტუ, ფერნანდუ კოუტუ, მანუელ რუი კოშტა, კოშტინია, პაულუ სოუზა (ყველა პორტუგალია), დემეტრიო ალბერტინი (იტალია), პოლ ბოსველტი (ჰოლანდია), დიდიე დეშამპი (საფრანგეთი), ალფონსო პერესი, ხოსეპ გვარდიოლა, მიჩელ სალგადო, პაკო ხემესი (ყველა ესპანეთი)

ჯგუფურ ტურნირში მიღებული ყვითელი ბარათები გაუქმებულია

უიშვიათესი ამბავი ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე: გეორგე ჰაჯი სამ მატჩში ოთხჯერ გააფრთხილეს

ჩემპიონატზე დარჩა 3 ფეხბურთელი, ვისაც ნაკრებში 90 და მეტი მატჩი უთამაშია

პაოლო მალდინი (იტალია)	109
დიდიე დეშამპი (საფრანგეთი)	99
ლორან ბლანი (საფრანგეთი)	93

ჩემპიონატზე დარჩა 3 ფეხბურთელი, ვისაც ნაკრებში 20 და მეტი გოლი გაუტანია

დენის ბერხკამპი (ჰოლანდია)	37
პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია)	28
იური ჯორკაეფი (საფრანგეთი)	26

მეოთხედფინალების გმირს პატრიკ კლუივერტს თანაგუნდელები ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, პიერ ვან ჰოიდონკი და ედ დე გუი ჰეთ თრიქს ულოცავენ

„სარგბიელის“ სიმგოლური ნაკრები მეოთხედფინალების მერე



ილია ბობყანაძეული

ედვინ ვან დერ სარი, ლილიან ტურამი, ფაბიო კანავარო, კრისტიან კივუ, გაისკა მენდიეტა, დემეტრიო ალბერტინი, ხოსეპ გვარდიოლა, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, რაული, ტიერი ანრი

ნიკოლოზი ეყლისაძეული

ფაბიენ ბარტეზი, მარსელ დესაი, ლილიან ტურამი, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი, ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ, დენის ბერხკამპი, გაისკა მენდიეტა, პატრიკ კლუივერტი, ნუნუ გომეში

ეიორეი დოლაია

ფრანჩესკო ტოლდო, ბიქსენტ ლიზარაზუ, მარსელ დესაი, ლორან ბლანი, ფაბიო კანავარო, გაისკა მენდიეტა, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, პატრიკ კლუივერტი, სავო მილოშევიჩი

ეიორეი ვაძაყიძე

ფრანჩესკო ტოლდო, ბიქსენტ ლიზარაზუ, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, ფაბიო კანავარო, დემეტრიო ალბერტინი, ედგარ დავიდსი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, დენის ბერხკამპი, პატრიკ კლუივერტი

ყაბა თალაყვაძე

ფაბიენ ბარტეზი, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, მარკ ოვერმარსი, პატრიკ კლუივერტი, ნუნუ გომეში

მამუკა ყვანცალიანი

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, ბუდევინ ზენდენი, ნუნუ გომეში, სავო მილოშევიჩი

პაატა ყვანცალიანი

ფრანჩესკო ტოლდო, პოლ ბოსველტი, პატრიკ ვიეირა, მარსელ დესაი, დემეტრიო ალბერტინი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, ბუდევინ ზენდენი, ნუნუ გომეში, სავო მილოშევიჩი

ნინო ყოცორეიშვილი

ფრანჩესკო ტოლდო, პოლ ბოსველტი, პატრიკ ვიეირა, მარსელ დესაი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, დენის ბერხკამპი, ნუნუ გომეში, პატრიკ კლუივერტი

ვანო ოქროპირიძე

ფრანჩესკო ტოლდო, ბიქსენტ ლიზარაზუ, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, ლორან ბლანი, მარკ ოვერმარსი, ედგარ დავიდსი, ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ, პატრიკ კლუივერტი, სავო მილშევიჩი

ქრისტე ბაცაშვილი

რუშთუ რეიქბერი, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ბუდევინ ზენდენი, მარკ ოვერმარსი, დენის ბერხკამპი, პატრიკ კლუივერტი

თენგიზ ფოფხაძე

ედვინ ვან დერ სარი, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, ბიქსენტ ლიზარაზუ, მარკ ოვერმარსი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ხოსეპ გვარდიოლა, დენის ბერხკამპი, პატრიკ კლუივერტი, სავო მილოშევიჩი

ეიორეი ხაბაციშვილი

ფაბიენ ბარტეზი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ფრანკ დე ბური, ლორან ბლანი, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ედგარ დავიდსი, ზინედინ ზიდანი, პედრო მუნიტისი, პატრიკ კლუივერტი, ნუნუ გომეში

ეკრემ ბოლაძეული

ფაბიენ ბარტეზი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ფაბიო კანავარო, მარსელ დესაი, ლორან ბლანი, ლუიშ ფიგუ, დენის ბერხკამპი, დემეტრიო ალბერტინი, ზინედინ ზიდანი, ნუნუ გომეში, პატრიკ კლუივერტი

ფრანჩესკო ტოლდო

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, ბიქსენტ ლიზარაზუ, ლუიშ ფიგუ, ვლადიმირ იუგოვიჩი, მარკ ოვერმარსი, რაული, პატრიკ კლუივერტი, სავო მილოშევიჩი

ეიო ახვლედიანი

წერილები აღმოსავლეთისკენ

ვილნიუსიდან

თექვსმეტი წლის წინათ

ნუთუ ყველაფერი ჩვენი საფეხბურთო სიზმრების ბრალია?

რაღა დარჩა?

სამი თამაში და ეგ არი.

თქვენი არ ვიცი და, ოთხივე მეოთხედფინალი მოსაწონი იყო. თქვენი არ ვიცი და საფრანგეთი ჰოლანდიაზე უფრო ძლიერი მომეჩვენა. არა მაინცდამაინც მეოთხედფინალში, არამედ საერთოდ, ჩემპიონატის განმავლობაში. იტალიამ ოთხი თამაში მოიგო, ძველი უნგრელებივით „სავალდებულო“ ორ-ორი გოლით, თუმცა, ალბათ, ამ ოთხი მოგებისთვის ბევრად მეტი ოფლი დაღვარა, ვიდრე ფრანგებმა, პორტუგალიელებმა და ჰოლანდიელებმა. ქალაქურ-ქუჩურად რომ მოგახსენოთ, „იმენნა ბოიში“ გაიმარჯვა, მაგრამ იტალია ჯეგირია ჰოლანდიისთვის, სერიოზული ჯეგირი.

თქვენი არ ვიცი (კიდევ ერთხელ) და, როცა ზიდანმა კანისარესს ჯარიმა ჩაუხვია, რუსთა ყოფილი პრემიერის, ჩერნომირდინის ნათქვამი გამახსენდა: *„Хотели как лучше, а вышло как всегда“*. სწორედ ასეა ესპანელების საქმე. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ლადისლაო კუბალა იქნება ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი, მიგელ მუნიოსი თუ ვინმე სხვა. რაულმა უნდა ააცდინოს. დრამა უნდა გათამამდეს, ესპანეთი მეოთხედფინალს ვერ უნდა გაცდეს...

თუმცა, თუმცა, თუმცა! ყოფილა სხვა დროც. ესპანელებს ფინალშიაც უთამაშიათ. მაგრამ იმავ ფინალში მეკარე არკონადას ტრაგიკული შეცდომით ნაუგიათ ფრანგებთან. ძველზე არას ვამბობ.

ეს იყო თექვსმეტი წლის წინათ, „პარკ დე პრენსზე“, როცა საფრანგეთის ნაკრები ჯერჯერობით ერთადერთხელ გახდა ევროპის ჩემპიონი, მიშელ პლატინიმ ხუთ შეხვედრაში ცხრა გოლი გაიტანა. არ ვიცი, რას მოიმოქმედებს დარჩენილ დღეებში პატრიკ კლუივერტი და მკითხაობაც მომწყინდა, თუმცა კი, კლასიკას სიამოვნებით მივუბრუნდები და ისე მოვიქცევი, როგორც გაბრიელ გარსია მარკესი გვასწავლის: „გაივლის წლები და ვილნიუსის სასტუმროს უბრალო ნომერში „ევროსპორტის“ არხის მაცქერალი „სარბიელის“ გოგია მესვეტე იმ დროს გაიხსენებს, როცა მრგვალბაღელ სანტექნიკოს სულიკოსთან ერთად უყურა ფეხბურთს საქვაბის უკანა ოთახში...“

ეს იყო თექვსმეტი წლის წინათ.

თბილისი მაშინ გაჩახჩახებული ქალაქი იყო, ძნელად რომ სინათლე წასულიყო სადმე, თუ წავიდოდა და ასე, ორ წელიწადში ერთხელ. ჩერნენკოს დრო იყო თუ ანდროპოვისა, ახლა ვეღარ გამოვითვლი, წინა ცხოვრება რომ იყო, ნაღდია.

იდგა ზაფხული, მშვენიერი ამინდი და საფრანგეთში გახურებულიყო ევროპის ჩემპიონატი. ეს შეჯიბრი გახლდათ რამდენიმე დაუვიწყარი რამისა (თუ ვინმესი). კერძოდ, მიშელ პლატინისა, ბრწყინვალე დანიის ნაკრებისა, რომლის ჩიბუხოსანმა მწვრთნელმა ზეპ პიონტეკმა საოცრება აჩუქა მაშინდელ ფეხბურთის მოყვარულებს და ორი დაუვიწყარი ნახევარფინალისა დანიელთა და ესპანელთა და ფრანგთა და პორტუგალიელთა შორის.

მაგრამ, ო, მგარამ, საბჭოთა ხელისუფლება არ გადმოსცემდა რეპორტაჟებს საფრანგეთიდან და ქალაქის ხალხი პანტიანის ველზე დაიარებოდა თურქეთის დასაჭერად. შეპირებული კი იყო ეს საბჭოთა ხელისუფლება, ნახევარფინალებს და ფინალს გადმოვცემთო და აასრულა.

დანიელთა მატჩს ევგენი მაიოროვი გადმოსცემდა, ფრანგებისას ნიკოლოზ ოზეროვი.

ეს იქით იყოს და, პორტუგალიურ-ფრანგული ჯახის დღეს, მოსაღამოვდა თუ არა, შუქი წავიდა. ვიფიქრე, მოვამეთქი და რომ აღარ მოვიდა, გვიანი იყო. შეფუცხუნებულმა ძმაბიჭთაგან ველარავინ ვიპოვე, ყველას ადრევე დაეჭირა თადარიგი და შუქიან ალაგებში გაკრეფილიყო. წავეყარე ერთ მეზობლის კაცს და ერთ მაშინ პატარა ბიჭს...

ამათ იცოდნენ, რომ ქვემოთ, საქვაბეში შუქია და სულიკოს პატარა ტელევიზორი აქვს. ჩავედით. იქ დაგვიხვდნენ თავად უჯიგრესი კაცი სულიკო და ორი შემთვრალი ხელოსანი, რომელთაგან ერთ-ერთმა, დღესაც კაი ჯანზე მყოფმა, ისეთი რამ თქვა, მინა გამსკდომოდა მერჩია: ეხლა ნიჩია რო მორჩეს, პორტუგალია გავაო.

არა-მეთქი.

როგორ არაო, პორტუგალია ხო სტუმრად თამაშობს და იმის გატანილი ორად ჩაითვლებაო.

აი, ამ გაქანების გულშემატკივრობა, ტელევიზორი „იუნოსტ“ სამას სამი“ (სხვათა შორის, სრულიად განსაკუთრებული საგანი იმ დროის ფეხბურთის მოყვარულთათვის. ტალღების მგრძნობიარე დამჭერის წყალობით ეს წითელი ყუთი უპოპულარულესი ნივთი იყო პანტიანელთათვის) და უზურგო სკამი.

მაგრამ რაებს ვყვები?

შალანა... შალანა... შალანა...

ჟორდაოს გოლი, რომელიც დღემდე თვალწინ გიდგას. სიმპატიური იერის ფრანგი მცველი დომერგი, რომელმაც დუბლი შეასრულა, გაბრაზებული მამა, რომელმაც მაშინ პატარა ჩემს უბნელ ბიჭს საქვაბეში ჩამოაკითხა და არ სურდა გაეგო, რომ ფეხბურთში არსებობს დამატებითი დრო. ოზეროვის ეშმაკური ფრაზა, ჩვენმა ფეხბურთელებმა ბევრი უნდა ისწავლონ მოწინავე ევროპელი ოსტატებისგანო. გასაოცარი შეგრძნება იმისა, რომ საქვაბეში კი არა, პარიზში ხარ და ტემპი და ნატიფ გადაცემათა ლამის უწყვეტი რიგი... ეგებ ეს თამაში არც იყო მთლად ასეთი და დრომ, ძველი ფეხბურთის ჯადოსნურმა ფერებმა და ვარსკვლავთა ნიჭმა, რაც მოგონებებში უფრო ემოციებად წარმოჩნდება ხოლმე, აქცია იგი ასეთად.

ასეა თუ ისე, სწორედ იმ საღამოს, იმ დაუვიწყარი ტელევიზორიდან იფრქვეოდა ერთ-ერთი უმშვენიერესი რამ, იმათგან, რისი შექმნაც ძალუძს ფეხბურთს — ცოცხალი რომანტიკა ამ თამაშისა. ანუ არა ის, რაც უნდა იყოს, არამედ ის, რაც გინდა, რომ იყოს.

... და მერე მეკარისგან მარცხენა ძელთან მარტო დარჩენილი პლატინი, ბურთი მის მარჯვენა ფეხზე, განიარაღებული მეკარე ბენტუ, პორტუგალიელთა მაშინდელი კაპიტანი და ფრანგთა გამარჯვების გოლი. ღამით, თამაშის შემდეგ, სრულიად უაზროდ, უადგილოდ მოსული სინათლე და გატეხილი ძილი.

თექვსმეტი წლის წინათ...

ისევე, როგორც მაშინ, ახლაც პორტუგალიელები და ფრანგები ერთმანეთს ხვდებიან ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში. ისევე, როგორც მაშინ, ახლაც პორტუგალიელთა გრძელ სკამთან ტრიალებს ეუსებიო. ისევე, როგორც მაშინ, ახლაც — ფრანგებს ძალუძთ, კვლავ მოიგონ ევროპის ჩემპიონობა და ისევე, როგორც მაშინ, ახლაც პორტუგალიის მხარეს ვარ.

აქეთ ფიგუა, იქით ზიდანი.

და ვინ იცის, ეგებ სულაც თექვსმეტი წლის შემდეგ ერთს რომელსამე ევროპულ ქალაქში, ერთს რომელსამე კოხტა სტადიონზე ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში და ჩვენ ვიკითხოთ:

ნეტავ თუ მართლა ლამაზი იყო ის შეხვედრა, თექვსმეტი წლის წინათ რომ გაიმართა ბრიუსელში! ნეტავ თუ მართლა იმ თამაშმა შეაყვარა ფეხბურთი სულ პატარა ბიჭებს? თამაშმა, რომელშიაც ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ზიდანი და ფიგუ, ფიგუ და ზიდანი...

თუ ყველაფერი ჩვენი საფეხბურთო სიზმრების ბრალია?

1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალშიც საფრანგეთი და პორტუგალია შეხვდნენ. 119-ე წუთზე, 2:2-ზე მიშელ პლატინიმ გამარჯვებისა გაიტანა და ფრანგები ფინალში გაიყვანა

ფოსფოფოლიტური ფიფოხილვა

თუ გინდა მსოფლიო, ასეთიც უნდა იყო

იმ დღეს დილით ბაზარში გავედი. მერე მთელი დღე სახლში ვიჯექი, ვჭამდი კივის, ვფიქრობდი კივუზე და აი, რა მოვიფიქრე: ჩვენს ნაკრებს მსოფლიოზე მოხვედრა შეუძლია. აი, იაპონიაში და კორეაში. ბოლოს და ბოლოს, რატომ ვერ უნდა გავიდეთ ჩვენ და რატომ უნდა გავიდნენ იტალია და რუმინეთი?

დავიწყოთ მასალით. ვითომ მათი ჩვენსას ჯობია? თეთრკანიანმა პლანტატორებმა, თავიდან, ზანგი მონები რომ ნახეს, გაუკვირდათ, ეს რა უცნაური, შავი ხალხიაო და დაეჭვდნენ, იყვნენ თუ არა აფრიკელები იმავე მასალით გაკეთებული, რითაც თავად. შესამოწმებლად (ალბათ ბავშვებისგან მოშორებით) გამოიჭირეს ერთი მონა და „უჟასი“ გააკეთეს. მაშინ ლაბორატორიულად პირველად დამტკიცდა, რომ მასალა ყველგან ერთია. ახლა იგივე ექსპერიმენტი რომ გავიმეორო, მერე თავად გავხდები ექსპერიმენტის საგანი, ამიტომ ვითომობანას შემოგთავაზებთ. წარმოიდგინეთ, რომ ჭამთ კივის და წინ დაჩოქებული გყავთ გაკოჭილი კივუ ანდა არ გაქვთ სხვა ჰონტი და აწვალებთ კონტეს, იღებთ ქინძისთავს და ჩხვლეტთ ჯერ ერთს, მერე მეორეს. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება? რა და ორივე „ვაის“ დაიძახებს. მერე იღებთ შოკოლადს და ორივეს აჭმევთ. რა ხდება ახლა? ორივე ჭამს. შემდეგ თავში აზრად მოგდით ასეთი რამ: „ორბიტის“ შეკვრიდან იღებთ საღეჭ რეზინს და გამზეცებული სახით პირში თხრით როგორც კივუს, ასევე კონტეს. შემდეგ: გაოცებული ხედავთ, რომ საღეჭი რეზინი ორივემ დაღეჭა. ერთი სიტყვით, მათ ყველაფერზე ისეთივე რეაქცია აქვთ, როგორიც ჩვეულებრივი მასალისგან გაკეთებულ სხვა ადამიანებს. ამის მერე, გადამოწმების მიზნით, შეიპყრობთ რომელიმე ქართველ ფეხბურთელს (რომელსაც ენებავთ, ფანტაზია თავისუფალია) და უტარებთ ანალოგიურ ცდებს. გარწმუნებთ, თუ ზუსტად იმავე ხელსაწყოებს გამოიყენებთ, შედეგსაც ზუსტად ისეთს მიიღებთ.

ყოველივედან გამომდინარე ასკვნით, რომ საწყისი მონაცემებით ჩვენ და მეტოქეები თანაბარ მდგომარეობაში ვართ და უფრო დაჟინებით იწყებთ ფიქრს, რომ მსოფლიოზე ისინი კი არა, ქართველები უნდა გავიდეთ.

ახლა ამბავში და გაგებაში ვნახოთ. დავუშვათ, სადმე ნიუ იორკში ინძაგი ხუთმა დამნაშავემ: ზანგმა, კოსტარიკელმა, ჰონკონგელმა, ალბანელმა და ავლაბრელმა ბნელ კუთხეში გამოიჭრა. რა, ვერ გახდიან ფირმა ჯინსებს? დედას არ უტირებენ? და რა ბედი ეწევა იმავე კუთხეში მუტუს? ხო აზრზე ხარ და რამე. აი, ქართველი კი ყველაზე კარგად გამოვა, „დასტოინად“. შეიძლება იქით გახადოს ჯინსები. სამს მაინც.

აბა, რატომ უნდა მოიგონ იმათ და რატომ უნდა წავაგოთ ჩვენ? არა, გამაგებინეთ, გოლი რომ გავიდეს, კარში არ უნდა დაარტყა? კიდევ უნდა რამე? ეს დაახლოებით იგივეა: ნაგავი რომ არ ეყაროს, უნდა დაგავო. არ მითხრას ახლა ვინმემ, იტალიაში დაგვა სხვა ჰონტიაო, თორემ ვუჩხვლიტე ქინძისთავი.

ჰოდა, ასე, არაფრით მჯერა, რომ ჩვენ ვინმემ აუცილებლად უნდა გვაჯობოს. გვაჯობოს არა, ისა. ერთადერთი არგუმენტი, რაც ამის საწინააღმდეგოდ მომისმენია, ასეთია (ჩინოვნიკებს უთქვამთ): იქ ერთი კილო ხახვი უფრო იაფია, ვიდრე ჩვენთან და ამიტომ ინძაგი ხახვში შემავალ ვიტამინებს უფრო თამამად შეექცევა და ჩვენს ბიჭებზე მეტად კმაყოფილიაო.

აი, მე კი ვამბობ, ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრას.

მიდით, ბიჭებო. მთავარია თქვენ ფეხბურთის თამაშის დროს კარში დაარტყით.

ბაბუნა კედია

დინ-ამო, ამო, ამო, რა გინდა მანდ?!

მერაბ ოდიშვილი
26 ივნისი
EURO 2000
ევროპის ჩემპიონატის დღიური

აღსდექ, ჰოლანდია!

გაღვიძებულმა თვისტომებმა პრუიფსაც კი მოაწონეს თავი

„თუ იმ კაცს ნამუსი აქვს, მომენტის განმეორებით ნახვისას ოდნავ მაინც დაფიქრდება“ — თქვა იტალიის ნაკრების ყავარჯნებზე შემდგარმა ნახევარმცველმა ანტონიო კონტემ.

„ის კაცი“ რუმინეთის ნაკრების კაპიტანი გეორგე ჰაჯია, ხოლო „მომენტი“ რუმინეთ-იტალიის მეორე ტაიმის დასაწყისში იყო: ჰაჯიმ კოჭში ჩაარტყა ფეხი კონტეს, რომელიც შესაცვლელი გახდა.

იტალიელი ფეხის მოტეხვას გადაურჩა, თუმცა არც ბევრად ნაკლები დაემართა. მარჯვენა კოჭის მყესების დაწყვეტა — ასეთია ექიმთა დიაგნოზი. კონტე ევრო 2000-ის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. მეტიც, „იუვენტუსის“ კაპიტანი ვერც ჩემპიონთა ლიგის სასტარტო მატჩებში გაუძღვება გუნდს. სხვათა შორის, მყესების დაწყვეტა კონტესთვის უცხო სულაც არაა — 1996-97 სეზონი მან თითქმის სრულად გამოტოვა, ოღონდ მაშინ მუხლის მყესებმა უმტყუნა.

ტრავმის მიუხედავად კონტე ევრო 2000-ზე დარჩა და იტალიის ნაკრების ბაზაზე ცხოვრობს. სწორედ იქ თქვა მან ეს სიტყვები: „ყველამ, ვისაც ფეხბურთი უთამაშია, იცის, რა ადვილია მეტოქისთვის ფეხის მოტეხვა. ჰაჯი განზრახ მეთამაშა უხეშად. მისი მიზანი მხოლოდ ჩემი შეჩერება არ ყოფილა. ეჭვიც არ მეპარება, ჰაჯის ჩემთვის ფეხის მოტეხვა სურდა“.

გეხსომებათ, ჰაჯი ამ დარღვევისთვის ყვითელ ბარათს დააჯერეს. პორტუგალიელმა მსაჯმა ვიტორ მანუელ მელო პერეირამ იგი ხუთი წუთის შემდეგ გააგდო — ცალკე სიმულაცია არ აპატია, ცალკე — კამათი. უეფას საგანგებო კომისიამ ინციდენტი გამოიკვლია, ვიდეოფირები ჟურნალისტებსაც უჩვენა და მსაჯს საყვედური უთხრა, ჰაჯი ჯერ კიდევ კონტეს წინააღმდეგ უხეშობისთვის უნდა გაგეძევებინაო. კომისიის სახელით უეფას მსაჯთა კომიტეტის პრეს-ატაშემ კენეტ რიდენმა ილაპარაკა: „მელო პერეირას ეს მომენტი სხვა მხრიდან რომ ენახა, დარწმუნებული ვარ, უყოყმანოდ წითელ ბარათს ამოიღებდა. მსგავსი უხეშობა მიუღებელია, გასაძევებელი ფეხბურთელი მოედანზე არ უნდა რჩებოდეს“.

რიდენი ევრო 2000-ის მსაჯებსაც შეეხო და მათი გარჯა მთლიანობაში დადებითად შეაფასა, თუმცა არბიტრებს იქვე მოუწოდა: „ამაზრზენია, როცა მოთამაშეები მსაჯის ცხვირწინ ხელებს იქნევენ და მეტოქისთვის ყვითელი ან წითელი ბარათის მიცემას ითხოვენ. დროა, ამგვარი უმსგავსობას შევებრძოლოთ და დამრღვევები დავსაჯოთ“.

უეფამ ჰოლანდიელ პატრიკ კლუივერტს იუგოსლავიასთან გატანილი ოთხი გოლიდან ერთი ჩამოაკლო და ჰოკერი ჰეთ თრიკად უქცია. თავად ფეხბურთელი ამ გადაწყვეტილებამ გაბრაზების ნაცვლად გააზარა და ათქმევინა, კარგია, სამართლიანობა რომ აღდგა, გოლი გოვედარიცამ გაიტანა საკუთარ კარში, მე კი ბურთს საერთოდ არ შეეხებივარო. ჟურნალისტებმა კლუივერტი ველოსიპედზე ამხედრებული გამოიჭირეს და ორიოდ სიტყვა დასტყუეს: „სულაც არ ვთვლი, რომ ჰეთ თრიკით რაღაც უსაშველო გავაკეთე. რა თქმა უნდა, სამი გოლი კარგია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჰოლანდიამ ექვსი გაიტანა. გუნდი რომ არ დამხმარებოდა, წარმატებას სამჯერ ვერ მივაღწევდი. ყველას ვემადლიერები, მაგრამ განსაკუთრებით დენის ბერხკამპი მინდა გამოვყო“.

ჰოლანდიის მიერ იუგოსლავიის განადგურება სათანადოდ აისახა იქაურ გაზეთებში. აქამდე ნაკრების მოკრიტიკე პრესა ახლა ქათინაურებს არ იშურებს. „ჰოლანდია, ეს რა შოუ დადგი!“ — კმაყოფილია „დე ტელეგრაფი“ და დასძენს, ჰოლანდიამ იუგოსლავიას გაკვეთილი ჩაუტარაო. „ალგემეენ დაბლადი“ თავისიანთა გამოსვლას „სუნთქვისშემკვრელს“ უწოდებს. „დე ფოლკსკრანტი“, რომელიც ცოტა ხნის წინ ამბობდა, მწვრთნელ ფრანკ რაიკარდის დღეები დათვლილიაო, ამჯერად სხვაგვარად ფიქრობს: „რაიკარდის, როგორც ეროვნული გუნდის მწვრთნელის როლი განუზომლად გაიზარდა. მოსამზადებელ პერიოდში მისი გაურკვეველი ნაბიჯები ახლა დამაჯერებელ ქმედებებში გადაიზარდა. გუნდიც გამოფხიზლდა და აგრესიულ კოლექტივად იქცა“. გაზეთმა, ჩანს, მოვლენებს გაუსწრო და რაიკარდი უდიდესი ჰოლანდიელი მწვრთნელების, რინუს მიხელსის და იოჰან კრუიფის გვერდით დააყენა.

ამქვეყნად ერთი ჰოლანდიელი კაცი დაიარება. მას და მის აზრს ყველა დიდ პატივს სცემს, რადგან იგი ძალიან დიდი კაცია. ოღონდ, ერთი უცნაური თვისება აქვს: ყველა მოვლენაში უპირველესად უარყოფითს ხედავს და არც მის კრიტიკას ერიდება. გაინტერესებთ, რას ამბობდა ეს კაცი საფრანგეთთან მატჩის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრებზე? აგერ, ინებეთ: „ამ შეხვედრაში ჰოლანდიას არა უშავდა, მაგრამ ნათელია, რომ ყველაფერი წესრიგში არ არის“; „ედგარ დავიდსს ვურჩევ, პირი დაკეტოს და თამაშზე მეტი იფიქროს“; „დროა, დენის ბერხკამპმა ინებოს და გაიღვიძოს“; „კლუივერტმა გოლი კი შეაგდო, მაგრამ სხვა რამის გაკეთებაც არ აწყენდა“...

ახლა ვნახოთ, რას ამბობს იგივე კაცი იუგოსლავიასთან მატჩის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრებზე: „ფანტასტიკურია, დენის ბერხკამპმა ისე ითამაშა, როგორც მისი გაქანების ფეხბურთელს შეუძლია. იგი შესანიშნავად ირჩევდა პოზიციებს და ბურთის ფლობისას უნაკლო იყო. ჩემი აზრით, ბერხკამპი მატჩის საუკეთესო მოთამაშეა“. ძნელია არ დაეთანხმო ამ კაცს, მით უმეტეს, როცა იგი იოჰან კრუიფია.

გერმანიისთვის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, მაგრამ გუნდის ფიასკოს ექო ჯერაც არ განელებულა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქვეყნის პირველმა პირმა გამოთქვა თავის აზრი. გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შროდერმა ღია წერილით მიმართა ლოთარ მათეუსს. შეგახსენებთ, რომ 39 წლის და ნაკრებში 150 მატჩის ჩამტარებელი მათეუსი კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ ობიექტად იქცა. ერთმა თანაგუნდელმა ისიც დააბრალა, შენი ნაკრებში ყოფნა ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენას ხელს უშლიდაო. შროდერმა, პირიქით, მხარი დაუჭირა მათეუსს. თუმცა, სჯობს, თავად წერილის შინაარსს გავეცნოთ: „ძვირფასო ლოთარ მათეუს. ცხადია, სირცხვილია, რომ გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატიდან გამოვარდა. მე კი უფრო დიდი სირცხვილი ის მგონია, რომ წარუმატებლობას რამდენიმე ფეხბურთელს აბრალებენ. სამწუხაროდ, მათ შორის თქვენც ბრძანდებით. პირადი გამოცდილებიდან მოგახსენებთ: წარმატებას ბევრი მამა ჰყავს, მისი მითვისება ყველას სურს, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში ყველა ცდილობს, ჩვილი ერთ კაცს შეაჩეჩოს ხელში. გერმანიის ნაკრების მარცხი მთელი ქვეყნის უბედურებაა. ბრალდებების წაყენების დრო აღარ გვაქვს. საჭიროა გერმანიის ფეხბურთის ხელმძღვანელობის, ფეხბურთელების და გულშემატკივრების გაერთიანება, რადგან სიტუაცია სწრაფად გამოსწორებას მოითხოვს“. შროიდერის პოლიტიკურმა ოპონენტებმა წამსვე ხითხითი ატეხეს, არჩევნები ახლოვდება და კანცლერს გულშემატკივართა გულის მოგება და მათი ხმების დათრევა სურსო.

სანამ ევრო 2000-ზე უფეხბურთო დღეებია, ბელგიისა და ჰოლანდიის სხვადასხვა სამსახურები სტატისტიკას ჩაუსხდნენ და შემდეგი რიცხვები გამოაქვეყნეს. გაირკვა, რომ ევროპის ჩემპიონატის 28 მატჩს ჯამში 955 510 მაყურებელი დესწრო. გამოდის, რომ ერთი შეხვედრის სანახავად სტადიონზე საშუალოდ 34 113 კაცი მიდის. მეოთხედფინალებიდან სრული ანშლაგით ჩაიარა ჰოლანდია — იუგოსლავიამ (როტერდამში) და საფრანგეთ — ესპანეთმა (ბრიუგეში). დანარჩენ ორ მეოთხედფინალზე კი შვიდი ათასი სკამი ცარიელი დარჩა.

ბელგიის პოლიციამ ევრო 2000-ის დღეებში 1 301 კაცი დაიჭირა. წესრიგის დამრღვევთა შორის იყვნენ 758 ინგლისელი, 229 ბელგიელი, 157 გერმანელი და 27 ფრანგი. ჩადენილ დანაშაულთა შორის სჭარბობს ჩხუბი, ლოთობა, ქურდობა, ვანდალიზმი და მატჩების ბილეთების გადაყიდვა. დაკავებულთა შორის 71 ბილეთებით უკანონოდ ვაჭრობდა. პოლიციამ 800 ბილეთი ამოიღო.

ევრო 2000-ის გამო ხალხი ჰონკონგშიც დაიჭირეს. ადგილობრივმა პოლიციამ ოც ადგილას ჩაატარა რეიდი და უკანონო ტოტალიზატორები აღმოაჩინა. დაპატიმრებულია 16-დან 46 წლამდე ცხრა მამაკაცი და ექვსი ქალი, რომელთაც ჯამში 2,3 მილიონი დოლარი ჩამოართვეს. ჰონკონგური კანონების მიხედვით, მთავრობის ლიცენზიის გარეშე აკრძალულია ყველანაირი ტოტალიზატორის და ლატარიის მუშაობა. მთავრობას კი არსებობის უფლება მხოლოდ საცხენოსნო კლუბისთვის და ჰონკონგის ლატარიათა საბჭოსთვის აქვს მინიჭებული.

დასარულ, გსმენიათ რამე ფეხბურთელ ნუნუ მიგელ სოარეშ პერეირა რიბეირუს შესახებ? ალბათ არა. ნუნუ გომეშის შესახებ? ძალიან ბევრი. ნუ გაიკვირვებთ და ლაპარაკია ერთსა და იმავე პიროვნებაზე, პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელზეა. აბა, გომეში რაღა შუაშია? თურქეთის კარში ორი გოლის გამტანმა ჟურნალისტებს გაუმხილა: „ბავშვობაში ჩემი კერპი დიდებული პორტუგალიელი თავდამსხმელი ფერნანდო გომეში იყო. მისი თამაში ძალიან მიყვარდა. 12 წლის რომ გავხდი, მეგობრებს ვთხოვე, ამიერიდან გომეში დამიძახეთ-თქო“.

REUTERS გვლიდან

ანტონიო კონტე ყავარჯნებზე გეორგე ჰაჯიმ შეაყენა

REUTERS ჟუდერლიოდან

ველოსიპედზე ამხედრებული პატრიკ კლუივერტი ჟურნალისტებს ნამუსიანად ელაპარაკა

ფედერაცია ევროპაში

ბადრი კვირელაძის ფოტო

სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძის და გენმდივან ვალერი ჩოლარიას გარემოცვაში

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე ლუქსემბურგს გაემგზავრნენ. იქ მათ ევროპაში საქმიანი ვიზიტით მყოფი სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაც შეუერთდება. საქმე ის გახლავთ, რომ სამეულმა 29 ივნისიდან 1 ივლისამდე დაგეგმილ უეფას 25-ე კონგრესის მუშაობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ლუქსემბურგში უეფას წევრი ყველა ქვეყნის საფეხბურთო ჩინოსნები ჩავლენ. საქმე მეტად მნიშვნელოვანია. კონგრესმა უეფას აღმასკომის 7 წევრი უნდა აირჩიოს.

სფფ-სგან განსხვავებით, უეფას აღმასკომი მეტად კომპაქტურად — 14 წევრითაა დაკომპლექტებული. მისი წევრების მოღვაწეობის ვადა ოთხი (ზოგ შემთხვევაში ორი) წელია. წლეულს კი უკვე ამოეწურათ მანდატი გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, ნორვეგიის, კვიპროსის, ჰოლანდიისა და მალტის ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტებს. სწორედ ეს შვიდადგილიანი ვაკანსია უნდა შეივსოს და საამისოდ უეფას კონგრესზე 14 კანდიდატია წარდგენილი. სამწუხაროდ, მათ შორის არ არის მოხსენიებული სფფ-ს პრეზიდენტი, მაგრამ არა უშავს, საქართველოც ერთიანი ევროპული საფეხბურთო ოჯახის წევრია და რიგდება ამ საპატიო თანამდებობაზე მალტელთა და კვიპროსელთა მსგავსად ქართველიც ილვაწებს, ოღონდ ამას დამსახურება უნდა.

მუშაობის მეორე დღეს კონგრესის წევრები უეფას წევრ ქვეყნებში ფეხბურთის მდგომარეობაზე ისაუბრებენ, კონგრესის სხდომის ბოლო დღე კი ისევ არჩევნებს დაეთმობა. აირჩევენ იმ ოთხ პიროვნებას, რომლებიც უეფას წარმომადგენლები იქნებიან ფიფას აღმასკომში. 2 ივლისს სფფ-ს პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ვიცე-პრეზიდენტი კონგრესის დანარჩენ წევრებთან ერთად როტერდამში ჩავლენ და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩს დაესწრებიან.

სფფ-ს ჩინოსანთა ევროპული ვოიაჟი ამით არ დასრულდება. 3 ივლისს სამეული უკვე ფრანკფურტში გადაინაცვლებს და გერმანიის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებს კონფიდენციალური საკითხების მოსაგვარებლად შეხვდება.

აგვისტოს დასაწყისში სფფ-ს ხელმძღვანელებს მორიგი ევროპული ტურნე ელით. 3-დან 6 აგვისტომდე ციურიხში ფიფას კონგრესი გაიმართება.

პაატა კვანტალიანი

სიონმა ლისის ტბით დაიწყო

გუშინ ბოლნისის „სიონმა“ კარსმომდგარი ეროვნული ჩემპიონატისთვის სამზადისი დაიწყო. უცნაური გადაწყვეტილება მიიღო გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სპარტაკ არჩვაძემ. მან ფეხბურთელები ორთაჭალის ციხესთან შეკრიბა და შემდეგ ლისის ტბაზე აიყვანა. როგორც ჩანს, „სიონელთა“ ამგვარ უჩვეულო ექსკურსიას თავისი დანიშნულება აქვს.

— ფეხბურთელებს გავესაუბრები, გავეცნობი მათ გეგმებს, ცოტას წავივარჯიშებთ კიდეც, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია ურიგო ადგილი სულაც არაა საამისოდ — გვითხრა გუშინდელი შეკრების წინ სპარტაკ არჩვაძემ. მისი თქმით, შარშანდელი შემადგენლობიდან ჯერჯერობით ყველა ფეხბურთელი „სიონის“ წევრია, ბესიკ შენგელიას გარდა. როგორც იცით, ეს ფეხბურთელი ბათუმში იმყოფება და სავარაუდოდ ზღვისპირეთა რიგებში შეხვდება XII ეროვნულ ჩემპიონატს. წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობა კი ჯერაც გასარკვევია, ზოგს კონტრაქტი დაუმთავრდა „სიონთან“, ზოგსაც სხვა გუნდში გადასვლა განუზრახავს. არჩვაძის მთავარი საზრუნავიც ის არის, რომ საბოლოოდ გაარკვიოს გუნდში დამრჩენთა ვინაობა, რადგან პარასკევს სამუშაო შეხვედრა ელის ბოლნისის გამგებელთან და „სიონის“ არაოფიციალურ პრეზიდენტ ზურაბ ჯაფარიძესთან. არჩვაძე-ჯაფარიძის შეხვედრაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. უმთავრესი ალბათ მაინც ის არის, მოახერხებენ თუ არა ქვემოქართლელები ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრების მოწყობას. მხოლოდ ბოლნისში ვარჯიში ხეირს არ მოგვცემს, სოლიდური მიზნებისთვის ბრძოლას გასვლითი შეკრება სჭირდება — გვითხრა არჩვაძემ.

დაბოლოს, პარასკევსვე გადაწყდება „სიონის“ ოთხი ახალწვეულის ბედიც. სხვებთან ერთად გუშინ ორთაჭალა-ლისის ტბის გზას ორი არმიელი, ერთი თბილისელი და ერთიც ალაზნელი დაადგნენ. გურამ ასპინძელაშვილი და გიორგი ირემაშვილი წინა სეზონში „არსენალში“ ირიცხებოდნენ, პაატა ბარნოვმაც მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატი პირველი ჯგუფიდან გავარდნილ გუნდში — „თბილისში“ ჩაამთავრა, დავით ტარიელაშვილი კი პირველ ეტაპზე „არსენალში“ მეორეზე, რეგიონალიგურ ძველი ანაგის „ალაზანში“ თამაშობდა. ოთხივე ფეხბურთელი გუშინ სპარტაკ არჩვაძემ იახლა, თქვა, გავსინჯავთ და ალბათ დავიტოვებთ.

პაატა კვანტალიანი

თსუ მწვრთნელს ელის

სტუდენტურ კლუბში ყველაფერი ძველებურადაა, გუნდს ისევ თენგიზ კაცია წვრთნის, მაგრამ მას ოჯახური პირობების გამო სოფელში შეაგვიანდა, და თსუ-ს საწვრთნელი პროცესი ოდნავ შეყოვნდა. წესით და რიგით, სტუდენტებს გუშინ უნდა დაეწყოთ საახალსეზონო სამზადისი, თუმც ზემოთაღნიშნული მიზეზით არდადეგები რამოდენიმე დღით გაუხანგრძლივდათ.

გუნდის კონსულტანტ ვახტანგ კოპალეიშვილს დრო უქმად არ დაუკარგავს. გუშინ იგი თელავში ჩავიდა ჩოხელის თასის ფინალურ მატჩზე დასაწრებად. მიზეზი, მგონი, ადვილი მისახვედრია — თსუ-ს შესავსებად ახალწვეულთა ძიებაშია.

შეგვიანებული მწვრთნელი თბილისში ხვალ დაბრუნდება და შეგირდებს 1 ივლისს მოუყრის თავს, პირველი ვარჯიშიც ამ დღეს გაიმართება.

პაატა კვანტალიანი

ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 93 15 72

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	ბობოხიძე (დინამო)		20 ივნისიდან ქუთაისში ვარჯიშობს. მოგვიანებით ესტონეთში ან ბულგარეთში მოემზადება
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ)	სულთანიშვილი (დილა), ჭილაძე (ს.ა. იბერია), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ)	22 ივნისიდან ბაკურიანში ორკვირიანი შეკრებაზეა, 13 ივლისიდან 1 აგვისტომდე გერმანიაში მოემზადება
	დინამო *ჯემალ ჩიმაკაძე*	დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თა, ისრაელი), ხიზანეიშვილი (კრივბასი, უკრაინა), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან),	ბობოხიძე (ტორპედო), კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1
	ბათუმი *ჯანი კარნევალი*	მ. მახარაძე (კარიერა დასრულა), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, გელა ქორიძე (?)	ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი)	7 ივნისიდან შვებულებაშია 3 ან 4 ივლისს ბათუმში შეიკრიბება
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	შალამბერიძე, ღაღანიძე, ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა)	კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, ჭანტურია (კოლხეთი 2)	25 ივნისიდან ფოთში ვარჯიშობს. 5 ივლისიდან 10 დღით ბაკურიანში მოემზადება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი)	27 ივნისიდან თბილისში ვარჯიშობს
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (?), ჟვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	21 ივნისიდან გორში ვარჯიშობს
	მერანი *სერგო გაბელაია*			1 ივნისიდან შვებულებაშია. 1 ივლისიდან თბილისში შეიკრიბება. თვის ბოლოს ლაგოდეხში, მოგვიანებით კირუსეთში ან უკრაინაში მოემზადება
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), გოგიჩაიშვილი (?)	ჟვანია, ნაროუშვილი (იბერია), ზურაბ აიანიდი (ხობი)	25 ივნისიდან თბილისში ვარჯიშობს მოგვიანებით ლაგოდეხში მოემზადება
	თსუ *თენგიზ კაცია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), შედანია (ზოოვეტი)	27 ივნისიდან მცხეთაში ვარჯიშობს
	გორდა *იასონ ალადაშვილი*			28 ივნისს რუსთავში შეიკრიბება

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა საბოლოო არ არის

პრაქტიკული ქართველი

ღვინო, ვარენიკი და ბორშჩი კახა კალაძის ცხოვრებაში

— კახა, წლეულს ჩემპიონობა „კარპატთან“ ლვოვში 3:2 მოგებით გაინაღდეთ, არადა, მე-15 წუთზე 0:2-ს აგებდით...

— ლვოველები ძალიან შემართულნი გამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ. ასეთმა განწყობამ შედეგი გამოიღო — დებიუტშივე ორი გოლი გაგვიტანეს, თუმც ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მინდორს ჩემპიონი დავტოვებდი. ასეც მოხდა, გონს მოვეგეთ და მეტოქემაც ველარ გაგვიძლო. ძალიან დაიღალნენ მასპინძლები, არც არის გასაკვირი, 30 გრადუსი სიცხე იყო. ჩვენ ფიზიკურად უფრო ძლიერები აღმოვჩნდით, ინდივიდუალური ოსტატობითაც ვაჯობებეთ. ერთი სიტყვით, ჩემპიონობაც ჩვენ დაგვრჩა და თასიც, ჩვენი ამოცანები წარმატებით გადავჭერით.

— კახა, თავის დროზე საკმაო წარმატებებს მიაღწიეთ სამჯერ სსრ ცეკვებში, მაგრამ დედის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ცეკვაზე უარი თქვით და ფეხბურთელი გახდით...

— ეს მამის დამსახურებაა. სწორედ მან მიმიყვანა ფეხბურთზე, სამტრედიაში. მაშინ 12 წლის ვიყავი. ვარჯიში და ფეხბურთთან შეჩვევა არ გამჭირვებია, მანამდეც საკმაოდ ვთამაშობდი. 15 წლისა უკვე სამტრედიის „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში ვხვდებოდი, ერთი წლის შემდეგ კი თბილისის „დინამომ“ მიმიწვია. არასდროს დამავიწყდება საქართველოს უპირველესობა გუნდში ჩატარებული პირველი მატჩი, რომელშიც გოლიც გავიტანე, როგორც მშობლები მეუბნებიან, საკმაოდ ლამაზი, მაკრატელათი.

ეტყობა, მამის გენები გამომყვა. ისიც ფეხბურთელი იყო, „ლოკომოტივში“ და ქუთაისის „ტორპედოში“ გამოდიოდა. ისე, არც დედისთვის მიწყენინებია, სკოლაში კარგად ვსწავლობდი.

მე რომ ფეხბურთელი ვარ, მამის გარდა სხვების დამსახურებაცაა. ივანე ყურულაშვილი ჩემი პირველი მწვრთნელი იყო, თბილისში კი გივი ნოდიას, სერგო კუტიავაძის და დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით ვთამაშობდი. ახლა ლობანოვსკია ჩემი მასწავლებელი, დიდებული სპეციალისტი და ბრწყინვალე პიროვნება. თავის დროზე „ალანიაში“, მოსკოვის „სპარტაკში“, „ბრიუგეში“ და დორტმუნდის „ბორუსიაში“ მიწვევდნენ. მამამ კიევში ლობანოვსკისთან წამოსვლა მირჩია, არც შემცდარა.

ამპლუებზეც გეტყვით. კარიერა თავდამსხმელად დავიწყე, მერე ნახევარდაცვაში ჩამომწიეს, ახლა წინა მცველი ვარ. პრობლემა აღარ მაქვს, ნებისმიერ ადგილზე ვითამაშებ, თუმცა შეტევებში ჩართვები მიყვარს. გატანა ყოველთვის სასიამოვნოა. ზოგიერთი გუნდის გამწვრთნელი უკვე მოვასწარი. დიდხანს მემახსოვრება თანამეგობრობის ტურნირის ფინალში „სპარტაკის“ კარში გატანილი გოლი.

— უპირატესობას, ბუნებრივია, ქართულ სამზარეულოს ანიჭებთ...

— კიევში ორი ქართული რესტორანია, რომელთა ხშირი სტუმარიც გახლავართ, თუმცა უკრაინული კერძებიც ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით ვარენიკი და ბორშჩი.

კახა კალაძე

— არ მეგულება ქართველი, ავტომობილით ჩქარი სიარული არ უყვარდეს. საგზაო ინსპექციის თანამშრომლებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— თავიდან ძალიან მიჭირდა. ახალი ჩამოსული რომ ვიყავი, ხშირად მაჩერებდნენ და მაჯარიმებდნენ. ახლა ამის მიზეზი აღარა აქვთ.

— და მაინც, ამას წინათ მოტოციკლ „კავაზაკიზე“ შეგნიშნეთ, რომელსაც საათში 180 მილის განვითარება შეუძლია, სიმართლე გითხრათ, სერიოზულად შევშინდი...

— ბავშვობიდან მიყვარს ავტომობილები და მოტოციკლები. პირველად რომ საჭეს მივუჯექი, 10 წლის ვიყავი. მასწავლებელი მამაჩემი იყო, რომელმაც სკამზე ბალიში დამიდო. მანქანების სიყვარული გამომყვა. ჩემი ფულით პირველად 09 ვიყიდე, მერე „ფორდ ექსპლორერი“. კიევში უკვე რამდენიმე მანქანა გამოვიცვალე. „მერსედესი“ გუნდის პრეზიდენტმა მაჩუქა, შემდეგ „ნისანი“ მყავდა, მერე ჯიპი. ახლა უმანქანოდ ვარ, თუმცა სულ მალე ისევ მივუბრუნდები საჭეს. მინდა, ბევრი მოდელი გამოვცადო. სამწუხაროდ, კიევში ისეთი გზები არ არის, რომ „პორშეთი“ ან „ფერარით“ ვიარო. რაც შეეხება მოტოციკლს, ძალიან იშვიათად ვსეირნობ.

— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ღვინო ჯერაც არ გაგისიუდავია, ბოლო წლებში თუ რომელიმე ქართველი ფეხბურთელი გამოირჩევა სტაბილური თამაშით, უპირველესად ეს კახა კალაძეა, კიევის „დინამოსა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველ-ნახევარმცველი, ფეხბურთელი, რომელიც უკრაინაში წასვლამდე ოთხჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. მისთვის ჩემპიონობა არც კიევში ჩასვლის შემდეგ ყოფილა უცხო. ახლახან კალაძემ ზედიზედ მესამედ მოიპოვა უკრაინის ჩემპიონის ტიტული. არც ევროპაში შეურცხვენია თავი. მისი გადაბირების მსურველებს არ იკითხავთ? „მილანი“, „რეალი“... გაგრძელება აღარც არის საჭირო. საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც თითქოს მას უნდა რგებოდა, თუმც ყველაფერი ლევან კობიაშვილის ექვსმა ბუნდესლიგურმა გოლმა გადაწყვიტა. კახას გული არ გაუტეხია. არდადეგებს ქართველ ლეგიონერთა უმეტესობა სამშობლოში ატარებს, ჩამოდიან, ახლობელ-ნათესავებს ნახულობენ. კალაძეც ასე იქცეოდა. გამონაკლისი მხოლოდ ეს ზაფხულია, თუმც ამასაც თავისი მიზეზი აქვს — კალაძეს მძიმე ტრავმა აწუხებს, ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო მატჩში კოჭი გაიტეხა და კარგა ხანს თაბაშირიც ედო. კახა კალაძე ტრავმირებულიც ყურადღების ცენტრშია. ამას უკრაინულ გაზეთ „2000“-ში გამოქვეყნებული საკმაოდ ვრცელი ინტერვიუც მოწმობს, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

ნჯავთ. ნუთუ ქართველ კაცს მართლა არ დაგილევიათ?

— არა. შეიძლება არატიპიური ქართველი ვარ, რადგან ჩემი უსაყვარლესი სასმელი „სპრაიტია“.

— ხშირად შემომჩნევია, გასვლით მატჩებზე მთელი გუნდი რომ თვითმფრინავშია, თქვენ კანფეტებს და სხვა ტკბილეულს ყიდულობთ, შემდეგ კი სალონში ფეხბურთელებს უმასპინძლდებით. გიყვართ ტკბილეული?

— გამასპინძლება სიამოვნებას მანიჭებს. ტკბილეულიც ძალიან მიყვარს. ეს ჩემი სისუსტეა. თუმცა ხშირად თავს ვებრძვი, რადგან საბრძოლო წონა უნდა შევინარჩუნო. ეს ადვილი ამბავი არ გეგონოთ.

— ისევე როგორც სხვა დინამოელებს, თქვენც ბევრი თაყვანისმცემელი გოგონა გყავთ, რომელთაც თქვენი ავტოგრაფი სურთ. რას ფიქრობთ მათზე?

— ეტყობა, სიმპათიური გუნდი გვყავს. ჩვენთვისაც სასიამოვნოა ტრიბუნებზე გულშემატკივარი გოგონების დანახვა, რომლებიც მხურვალედ გვქომაგობენ. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ისე, ავტოგრაფს ყველას ვერ ვაძლევ, ვერ ვასწრებ, მაგრამ ნუ მიწყენენ, გამოვასწორებ.

— ადამიანში ყველაზე მეტად რას აფასებთ?

— სიკეთეს. მატყუარებიც არ მიყვარს.

— მუსიკასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— ვის არ უყვარს მუსიკა? ვუსმენ კლასიკას, ჯაზს. ძალიან მომწონს წყნარი მელოდიები. ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მომღერალი სოსო პავლიაშვილია. კინოსაც სიამოვნებით ვუყურებ. როცა შინ ვარ, ვიდეომაგნიტოფონს არ ვშორდები. უპირატესობას „ბოევიკებს“ და კომედიური ჟანრის ფილმებს ვანიჭებ.

— წელიწადის რომელი დრო გიყვართ ყველაზე მეტად?

— გაზაფხული. წლეულს მესამე გაზაფხულს შევხვდი კიევში. შემიძლია ვთქვა, რომ კიევი თბილისის შემდეგ ჩემი უსაყვარლესი ქალაქია.

— ნახევარი წელია, გიორგი დემეტრაძე თქვენი თანაგუნდელია. ალბათ, უფრო მხიარულად იქნებით...

— კიევის „დინამოში“ მოწყენილი არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა გიორგის ჩამოსვლის შემდეგ ცხოვრება უფრო საინტერესო გახდა. დემეტრაძე ძალიან მხიარული ბიჭია. ჩვენ ძირითადად ქართულად ვსაუბრობთ, თუმც ხანდახან ვცდილობთ, უკრაინულადაც ვილაპარაკეთ. ძალიან მინდა, იგი „დინამოში“ გადმოსულიყო და მიხარია, ასე რომ მოხდა.

— კახა კალაძის ფეხბურთთან დაკავშირებული მთავარი ოცნება...

— ვერ გეტყვით, საიდუმლოა. ცრუმორწმუნე ვარ.

— მაშინ ქართულსა და უკრაინულ ფეხბურთს შორის განსხვავებაზე გვესაუბრეთ.

— ქართველები ყურადღებას ყოველთვის ტექნიკაზე უფრო ვამახვილებდით, ძლიერებიც ამ კომპონენტში ვიყავით. უკრაინული ფეხბურთის კოზირი კი ფიზიკური კონდიციებია. მსგავსებაც გვაქვს — ორივენი რბილად ვთამაშობთ.

— ყველაზე მეტად რომელი ევროპული კლუბი გიზიდავთ?

— მადრიდის „რეალი“. „მილანიც“ მომწონს. საერთოდაც სერია „ა“ უძლიერესად მიმაჩნია მსოფლიოში.

— დაბოლოს, შვებულების გატარებას როგორ აპირებთ?

— რა შვებულება? იგი არ გვექნება. 12 ივლისს უკრაინის მეათე ჩემპიონატი იწყება და მისთვის მზადებას ვიწყებთ. იალტაში მივემგზავრებით. სირბილი მოგვიწევს, არადა, იქ ახლა საშინლად ცხელა.

თარგმნა ვანო ოქროპირიძემ

პრეზიდენტი იაპონიაში, დირექტორი ბელგიაში

კოლხეთი ბაკურიანში

...25 ივნისიც დადგა და მოახლოებული სეზონისთვის ფოთის „კოლხეთმა“ სრული შემადგენლობით გაბაზლა ვარჯიში. ფოთელებმა რომ სამი წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისეს, იცით. ზაველ ღაღანიძემ და გოჩა ტრაპაიძემ სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ ერთწლიანი კონტრაქტები გააფორმეს, ხოლო ჯონი შალამბერიძე, როგორც ადრე გაუწყეთ, „კოლხეთმა“ ორი თვით გაანათხოვრა, შალამბერიძეს 25 აგვისტომდე შეეძლება „ტავრიას“ სახელით თამაში, მერე კი მოლაპარაკებას გააჩნია, ან დარჩება იგი უკრაინაში, ან უკან მობრუნდება. ცნობისათვის, უკრაინის ახალი ჩემპიონატი 12 ივლისს იწყება.

რომ ამბობდნენ, „კოლხეთის“ მეკარე ზურაბ ქვაჩახია და მცველი მიხეილ ქობულაძე „ბათუმში“ გადადიანო, ჯერჯერობით არ გამართლდა. ორივე, ქვაჩახიაც და ქობულაძეც, გია ტყებუჩავას მეთვალყურეობით ვარჯიშობენ.

„გუნდიდან მხოლოდ ღაღანიძე, შალამბერიძე და ტრაპაიძე წავიდნენ. დანარჩენები ყველანი აქ არიან — გვითხრა გუშინ „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ და დასძინა — 5 ივლისიდან გუნდი ბაკურიანში გაემგზავრება ათდღიან შეკრებაზე, ალბათ ასე აჯობებს, მერე კი კვლავაც ფოთში მოვემზადებით. რაც შეეხებათ ახალწვეულებს, ადრეც გითხარით, სამი ფეხბურთელის დამატება გვსურს, კერძოდ ვისი, ჯერ არ გადაგვწყვეტია, კლუბის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი ახლა იაპონიაში იმყოფება პირად საქმეებზე, ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა ბელგია-ჰოლანდიაში გახლავთ ევროპის ჩემპიონატზე. ჩამოვლენ, შეეკრიბებით და მერე გადავწყვეტთ. ჩვენი მეორე გუნდიდან ვარჯიშობენ — კრასოვსკი, თედეევი, კვირკველია, ლეჟავა და ჭანტურია. რაც შეეხება შალვა ჩხენკელს, ვარჯიშობს, მაგრამ ფეხს მაინც იტკივებს. სამწუხაროდ, ტრავმა ბოლომდე ჯერ ვერ მოიშუშა“.

გიორგი ვაშაკიძე

მერანი ჩერქეზოვს ელოდება

და დაჩოქებას არ აპირებს

თბილისის „მერანი“ ისევ ფინანსურ კრიზისშია, ახალი პატრონი გუნდიდან წასვლას აპირებს, ფეხბურთელებსაც გაქცევაზე უჭირავთ თვალი. ეს გუნდი ალბათ დაიშლებაო, ცოტა ხნის წინ ქართულ საფეხბურთო სამყაროში ეს ამბავი გავრცელდა, თუმცა...

„არავითარი ფინანსური კრიზისი. გუნდში ყველაფერი ძველებურადაა. ხვალ ხელფასები დარიგდება, რუსეთიდან კლუბის მენეჯერი ვოვა ჩერქეზოვიც დაბრუნდება და გუნდიც მეთორმეტე ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგება“ — ასეთი კომენტარი გაუკეთა ზემოხსენებულ ამბავს „მერანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მამალაძემ, რომელმაც იქვე დაამატა, ყველაფერი ჭორიაო.

ჭორი ჭორად, მაგრამ ისიც ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო. ამ ჭორის გამავრცელებელსაც მიეცა ამის თქმის საბაბი. ვინც „სარბიელის“ საზაფხულო მიდი-მოდის ცხრილში ჩაიხედა, „მერანის“ მზადების გეგმასაც იხილავდა. „1 ივნისიდან შვებულებაშია. 25 ივნისს თბილისში შეიკრიბება, თვის ბოლოს ლაგოდეხში, მოგვიანებით კი რუსეთში ან უკრაინაში მოემზადება“ — წერია მიდი-მოდიში.

25 ივნისიც დადგა. მერანი“ კი არ შეკრებილა, უფრო სწორად ვარჯიში არ დაუწყია. ჭორის საფუძველიც ეს გახდა. „პატარა დაბრკოლებებია. ფეხბურთელებს რამდენიმე დღით შვებულება გავუხანგრძლივეთ. 1 ივლისიდან კი ინტენსიურ შეკვრებას „დავიწყებთ“ — ასეთი პასუხი გასცა „სარბიელს“ „მერანის“ მთავარმა მწვრთნელმა სერგო გაბელაიამ. თან დაამატა წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობა მაშინ გაირკვევაო.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდი მთელი შემადგენლობით და ინტენსიურ წვრთნას ჯერ არ შესდგომია, თორმეტცამეტი ფეხბურთელი „სინათლის“ სტადიონზე მაინც მიდის და ვარჯიშობს. გეგმის მიხედვით მზადებას კი „მერანი“ ჩერქეზოვის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყებს. ავჭალელთა მენეჯერი იქ მიხეილ ფოცხვერიას მოსკოვში „ტორპედოში“ ტრანსფერის მოსაგვარებლად იმყოფება და, როგორც შევიტყვეთ, დღეს თბილისშიც უნდა ჩამოვიდეს. მავანი იმასაც იკითხავს, მთავარი მწვრთნელი, პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ფეხბურთელები თუ ადგილზე არიან, მზადების დაწყებას რაღა უდგას წინო. საქმე ისაა, რომ ჩერქეზოვი „მერანის“ მთავარი სელექციონერია, სწორედ მისი ჩამოსვლის შემდეგ გაირკვევა გუნდში წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობაც.

ასე რომ, „მერანი“ ჩერქეზოვს ელის. ის კი, წესით და რიგით, დღეს უნდა დაბრუნდეს თბილისში.

ვანო ოქროპირიძე

ფეხბურთის რუკასთან

ბრაზილიელი ალექსი, შესაძლოა „პალმეირასიდან“ „პარმაში“ გადავიდეს. იტალიურ კლუბს მალე, ალბათ, არგენტინელი არიელ ორტეგა დატოვებს, მის შემცვლელად კი პარმელებს 23 წლის ალექსი ეგულებათ. ფეხბურთელი თავად აცხადებს, რომ იგი „პალმეირასიდან“ წავა. იტალიური სააგენტოების ცნობით, „პარმა“ ბრაზილიურ კლუბს ალექსის სანაცვლოდ 8 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ალბერტო მალესანი ახალი სეზონისთვის გუნდის გაძლიერებას აპირებს, რისთვისაც ბორდოელი იოან მიკუ და „ლაციოს“ ნახევარმცველი მატიას ალმეიდა უკვე გადაიბირა. მათ შეიძლება „ვერონადან“ კრისტიან ბროკი შეუერთდეს. არ არის გამორიცხული, „პარმამ“ „ლაციოში“ არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო გაუშვას, ხოლო მის მაგივრად რომიდან ჩილელი მარსელო სალასი გადაიყვანოს.

იტალიური სააგენტოების განცხადებით, ბრაზილიელი ედმუნდოს შეძენა „ფიორენტინისა“ და „იუვენტუსის“ გარდა „ჩელსიმაც“ მოისურვა. შეგახსენებთ, რომ 29 წლის მოთამაშე „ვასკუდან“ გააგდეს და იგი სავარაუდოდ ევროპას მიაშურებს. ზოგიერთი ინგლისური გაზეთი იუწყება, რომ ლონდონელები ბრაზილიელებს ედმუნდოს სანაცვლოდ 10 მილიონ გირვანქას აძლევენ. „ჩელსის“ ფეხბურთელის გადაბირებაში „ფიორენტინა“ ეცილება, ფლორენციელებს „რომაში“ გადასული არგენტინელი ბატისტუტას შემცვლელად სწორედ ედმუნდო ესახებათ. შეგახსენებთ, რომ ფორვარდი „ფიორენტინაში“ 1998 წელს თამაშობდა, თუმცა იტალია დატოვა, ახლა კი ამბობს, რომ ფლორენციაში სიამოვნებით დაბრუნდება.

ბელგიელ ფორვარდ ემილ მპენზას ხელში ჩასაგდებად „ტოტენჰემმა“ და „ნაპოლიმ“ „შალკეს“ 7 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადონ. ეს თანხა ლონდონურ და ნეაპოლურ კლუბებს ეძვირებათ. მპენზას აგენტი ლუჩანო ორნოფრიო იტალიური გუნდის ხელმძღვანელებს უკვე შეხვდა. მისი განცხადებით, ტრანსფერზე ამჟამადაც მუშაობენ და ბელგიელი შესაძლოა მალე აპენინებზე გადავიდეს. „ტოტენჰემის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი დევიდ პლიტი კი ამბობს: „მპენზა ერთ-ერთი მოთამაშეა, რომელსაც ევრო 2000-ზე ვაკვირდებოდით“. 21 წლის ფეხბურთელი „შალკეში“ შარშან ლიეჟის „სტანდარდიდან“ გადავიდა.

გერმანული „მიუნხენ 1860“ სლოვენიელ თავდამსხმელ ზლატკო ზაჰოვიჩით დაინტერესდა. ფეხბურთელი „ლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო, ალბათ, საბერძნეთს დატოვებს და რომელიმე ევროპულ კლუბს მიაშურებს. სლოვენიელის შეძენის სურვილი „ფიორენტინამაც“ გამოთქვა. ისიც შეიძლება მოხდეს, მიუნხენურმა კლუბმა ბერძნებს ზაჰოვიჩისა და ნორვეგიელი ერიკ მიუკლანდის გაცვლა შესთავაზოს.

შოტლანდიის ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსის“ თვალთახედვის არეში „მალაგას“ ბრაზილიელი ფორვარდი კატანია მოექცა. დიკ ადვოკაატის კლუბი ფეხბურთელში 9 მილიონ გირვანქას იხდის. გლაზგოურ კლუბს ახალი სეზონიდან მიხაელ მოლსი დაუბრუნდება, რომელმაც რთული ტრავმა მოიშუშა. „მუხლი თითქმის მომირჩა, გაისად, ალბათ, თამაშსაც დავიწყებ, რამდენიმე დღეში კი გუნდთან ერთად ვივარჯიშებ“ — ამბობს მოლსი.

ჰოლანდიელ ნახევარმცველ ბუდევინ ზენდენს „ტოტენჰემი“ და „ფიორენტინა“ ეპატიჟება, თუმცა ფეხბურთელს „ბარსელონაში“ დარჩენა სურს. „პირველ სეზონში მართლაც გამიჭირდა, თუმც ვიმედოვნებ, ნელ-ნელა მოვუმატებ. ლუის ვან გაალის ხელმძღვანელობით ტაქტიკური თამაში ვისწავლე, რამდენიმე ფუნქციას ერთად ვასრულებ, თანამედროვე ფეხბურთში ეს აუცილებელია. ახლა ევრო 2000-ზე ვფიქრობ, ვგონებ, ჰოლანდიის ნაკრები ჩემპიონი უნდა გახდეს“ — ამბობს იგი.

სამშობლო კარლოსისა

ბრაზილიელ რობერტო კარლოსს ბევრ სხვა სამხრეთამერიკელ ფეხბურთელთა მსგავსად ორმაგი მოქალაქეობის მიღება განუზრახავს, მადრიდის „რეალის“ მცველს თავის მეორე სამშობლოდ ესპანეთი აურჩევია. იგი ამბობს, რომ მალე ამ ქვეყნის მოქალაქე გახდება, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ბრაზილია მისთვის უმთავრესია და იგი კვლავაც ამ ქვეყნის ნაკრებში ითამაშებს.

„ესპანეთის მეორე მოქალაქეობას, ალბათ, მალე მივიღებ — განუცხადა კარლოსმა ესპანურ გაზეთ „ასს“ — თუმც ბრაზილიელობას არასდროს უარვყოფ. ჩემი სამშობლოს ნაკრების ღირსებას მომავალშიც დავიცავ“.

რობერტო ამჟამად ბრაზილიაშია და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ურუგვაის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადება. ბრაზილიური გაზეთების ცნობით, ფეხბურთელს მცირე ტრავმა აწუხებს, რთულმა სეზონმა მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა, ამიტომ კარლოსს დასვენება სჭირდება. მცველი, სავარაუდოდ სიდნეის ოლიმპიადაზე არ ითამაშებს.

„მუხლი მართლაც მაწუხებს, ცოტა ხანს, ალბათ, დავისვენებ. ყველაფერი მოგვარდება, სწორედ ამის გამო განვაცხადე უარი ოლიმპიადაზე მონაწილეობაზე — თქვა კარლოსმა და იქვე სამეფო კლუბსა და მის მთავარ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეზეც ისაუბრა — ჩემპიონთა თასის მოგება უდიდესი ტრიუმფი იყო. დელ ბოსკემ გუნდი დააწყნარა, ვგონებ, მისი ხელმძღვანელობით მომავალში კიდევ უფრო მეტ წარმატებას მივაღწევთ. ნიკოლა ანელკაზეც მინდა ვთქვა — ფრანგი სეზონის ბოლოს გუნდის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე გახდა, „რეალმა“ იგი არ უნდა გაყიდოს“.

ნიკა შუბლაძე

ტრეზეგე იუვენტუსში... პარმასთვის რა ელის ინძაგის?

ტურინის „იუვენტუსმა“ სენსაციური ტრანსფერი განახორციელა — საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოს“ 22 წლის თავდამსხმელი, მსოფლიოს ჩემპიონი დავიდ ტრეზეგე 26 მილიონ დოლარად შეიძინა. რამდენწლიან კონტრაქტს მოაწერა ფეხბურთელმა ხელი, ამაზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

რატომ გამოიწვია „ბებერი ქალბატონის“ ნაბიჯმა ასეთი მითქმა-მოთქმა?

„იუვენტუსს“ ტრეზეგეს შეძენა არც სურდა, მას სამი ფორვარდი — ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტი, არგენტინელი ერნან კრესპო და ფრანგი ნიკოლა ანელკა ჰყავდა გულში ამოჭრილი. აბა, რამ აიძულა, ტრეზეგე ეყიდა? აი, რამ: „ტრეზეგეს ტურინში დიდხანს არ გაჩერებენ, „იუვენტუსი“ საწადელს მაინც მიაღწევს და „პარმას“ ერნან კრესპოში სწორედ მას გაუცვლის. თან ფულს დაუმატებს“ — აცხადებენ იტალიელი ჟურნალისტები. მოდი და გაიგე, ასეც ხდება ხოლმე.

ერთი სიტყვით, ტრეზეგე ჯერჯერობით იუვენტუსელია, კლუივერტსა და ანელკაზე საუბრებიც მიჩუმათდა. როგორ მოიქცევა „პარმა“, გაცვლის თუ არა თავის საუკეთესო ფორვარდ კრესპოს? ამას დრო გვიჩვენებს.

მაგრამ აქ ერთი კითხვაც იბადება. ალესანდრო დელ პიერო „იუვენტუსისთვის“ შეუცვლელია. მაშ, რა ბედი ეწევა ტურინელი გუნდის მეორე თავდამსხმელ ფილიპო ინძაგის? შესაძლოა „სუპერპიპოს“, რომელიც ევრო 2000-ზე ჩინებულად თამაშობს, ახალმა ტრანსფერმა გუნდის ძირითადში ადგილი დაკარგვინოს. ამაზე, როგორც ჩანს, ინძაგის პირად აგენტს უფიქრია. „ფილიპო? ან „მილანში“ ითამაშებს, ანაც „ლაციოში“, მეტს ვერაფერს გეტყვით“ — ამბობს იგი.

გიორგი ვაშაკიძე

რუსეთი

მე-15 ტური. ურალანი - ლოკომოტივი 0:1; სატურნი - ნ. ნოვგოროდი 1:0; ალანია - კრილია 4:3; ზენიტი - ფაკელი 5:0; როსტსელმაში - სპარტაკი 2:3; ტორპედო - როტორი 2:0; ცსკა - დინამო 2:2; ჩერნომორეცი - ანჟი 3:0

სპარტაკი	15	12	1	2	33:12	37
ლოკომოტივი	15	9	5	1	16:6	32
ანჟი	16	9	2	5	25:14	29
ჩერნომორეცი	15	8	4	3	26:9	28
ტორპედო	15	8	4	3	20:13	28
დინამო	15	8	4	3	21:15	28
ზენიტი	16	7	4	5	21:13	25
სატურნი	15	7	3	5	14:13	24
ალანია	15	5	3	7	15:20	18
როსტსელმაში	16	3	8	5	12:11	17
როტორი	15	4	4	7	15:28	16
კრილია	15	5	0	10	17:29	15
ცსკა	15	3	3	9	12:23	12
ფაკელი	15	2	6	7	16:30	12
ურალანი	15	2	4	9	11:20	10
ნ. ნოვგოროდი	16	0	5	11	6:24	5

სიახლე!

პირველად საქართველოში!

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3 FM
ყველაზე პიტბილ ტალღა

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა“

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი
სამხრეთ ამერიკა

სანამ ამაზონი დაშრება...

დღეს და ხვალ ევროპის ჩემპიონატზე სულ ორი თამაში გაიმართება, მაგრამ ისეთები, ფეხბურთის ყველა ქომაგს ტელევიზორთან მიაჯაჭვავს. ვერ გეტყვით, სამხრეთ ამერიკაში ჩვენებურ ამბებს რამდენი მაყურებელი ჰყავს, ალბათ, ძალიან ბევრი, თუმცა მათ ევროპული ნახევარფინალებისთვის ნამდვილად არ ეცლებათ, იქ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ტარდება და იმიტომ.

ოკეანის გაღმა ხუთი მატჩია, მაგრამ მთელი ყურადღება ორისკენ არის მიმართული — ბრაზილია ურუგვაის უმასპინძლებს, ხოლო არგენტინა — კოლუმბიას.

ვენდეტა სამხრეთელ იტალიელთა მოგონილია, აწყენინებ და სამაგიეროს გადაგიხდიან. ბრაზილიელები და არგენტინელები კი იტალიელებზე უფრო სამხრეთელები არიან, შურისძიებაც საგანგებო იციან, ასი წელიც რომ გავიდეს, ძველ ამბებს არ ივიწყებენ და რამდენჯერაც საშუალება მიეცემათ, სარმასაც იმდენჯერ გამოგიდებენ.

1950 წლის 16 ივლისს ურუგვაიმ „მარაკანაზე“ 204 ათასი ქომაგის თვალწინ ნაქებ ბრაზილიელებს 2:1 მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული თვალსა და ხელს შუა აართვა. ბრაზილიელებს არ სჯეროდათ, ჩემპიონობისთვის ფრე ჰყოფნიდათ, 48-ე წუთისთვის 1:0 იგებდნენ და ბოლოს კი ასეთი შედეგი...

მას შემდეგ ბრაზილიელები გამუდმებით შურისძიებაზე ფიქრობენ და ურუგვაელებს რამდენიმე უპრინციპულესი მატჩიც მოუგეს. 1970 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ისინი ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ბრაზილიამ 2:0 მოიგო. მერე 1989 წლის „კოპა ამერიკა“ იყო და კვლავ იგივე ანგარიში — 2:0. ბოლოს კი ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო ტურში მათი შეხვედრის გამარჯვებული ფინალურ ეტაპზე გადიოდა, ბრაზილიამ მოიგო და ისევ 2:0.

ვინმე ჩრდილოეთელი ამდენი რევანშით დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ არა ბრაზილიელები. სანამ ამაზონი არ დამშრალა, ურუგვაელთაგან იმ მარცხს არ დავივიწყებთო, ამბობენ. ვანდერლეი ლუქსემბურგოს კი უთქვამს: „მე და ჩემი ფეხბურთელები 1950 წელს დაბადებულები არ ვიყავით, ის სიმწარე არ განგვიცდია და ამიტომაც ურუგვაის კომპლექსი არ გვაქვს, თავისუფლად ვითამაშებთ. თუმცა უამრავ ბრაზილიელს ის დღე კარგად ახსოვს და თუნდაც მათ გამო მეტოქე უნდა დავჯაბნოთ“.

50 წლის წინანდელი ამბები არც ურუგვაელ თავდამსხმელ დარიო სილვას ახსოვს, მაგრამ რაკიღა ის ამბავი გადმოცემით იცის, აცხადებს: „ურუგვაის გაჩემპიონების ნახევარსაუკუნოვანი იუბილეა და ამ თარიღის ბრაზილიასთან გამარჯვებით აღნიშვნა გვმართებს“.

თუ ურუგვაი მოიგებს (ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ მაინც) ბრაზილიის ნაკრებს უკან ჩამოიტოვებს. ასე რომ, უშეღავათო ბრძოლის გასამართად ყველა წინა პირობა არსებობს.

გავიხსენოთ, როგორ გავიდა არგენტინის ნაკრები 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მას ოკეანეთის გამარჯვებულ ავსტრალიასთან მოუხდა გადათამაშება. სიდნეიში მატჩი 1:1 დასრულდა, ხოლო ბუენოს აირესში მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს და ასე გაჭირვებით გაემგზავრნენ ამერიკაში. ყოველივე ამის მიზეზი კი კოლუმბიის ნაკრები, უფრო სწორად კი ის მატჩი გამოდგა, რომელიც 1993 წლის 5 სექტემბერს არგენტინის დედაქალაქში შედგა. შესარჩევი ეტაპის ბოლო შეხვედრა იყო. იქამდე კოლუმბია არგენტინას ერთი ქულით უსწრებდა და მასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად გამარჯვება სჭირდებოდათ. წესით, არც უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ... იმ დღეს ბუენოს აირესის „რივერ პლეიტზე“ კოლუმბიამ ნარჩევ არგენტინელ ფეხბურთელებს ხუთი უპასუხო გოლი შეუგდო და არგენტინელებს შურისძიებაზე ფიქრის საბაბი მიეცათ.

მათი ყველაზე დიდი ბრძოლა შარშანდელ „კოპა ამერიკაზე“ შედგა. არგენტინელები უბრალოდ მოგებას არ აპირებდნენ, დიდი ანგარიშით გავიმარჯვებთო, იქადნებოდნენ და მინდორზეც ამ სულისკვეთებით გავიდნენ. 90 წუთის მერე კი ტაბლოზე 0:3 ციმციმებდა — არგენტინამ მორიგი სამარცხვინო მარცხი იწვნია. და ერთი საინტერესო ამბავიც. დღეს რაულის აცილებულ პენალტზე ვსაუბრობთ, მაშინ კი მარტინ პალერმომ კოლუმბიელთა კარში სამი თერთმეტმეტრიანი დაარტყა და სამივე გააფუჭა.

არგენტინა-კოლუმბიის შერკინება ხვალ შედგება. ჯერჯერობით ორივე გუნდს წაგებათა გრაფაში ნული უწერია და მატჩისადმი ინტერესს ესეც ზრდის.

გიორგი დარჯანია

არგენტინა	3	3	0	0	9:1	9
ბრაზილია	3	2	1	0	4:2	7
პარაგვაი	3	2	0	1	4:3	6
ურუგვაი	3	2	0	1	3:2	6
კოლუმბია	3	1	2	0	4:1	5
პერუ	3	1	1	1	3:2	4
ეკვადორი	3	1	0	2	5:6	3
ჩილე	3	0	1	2	3:7	1
ბოლივია	3	0	1	2	1:3	1
ვენესუელა	3	0	0	3	0:9	0

REUTERS მონტევიდეოდან

ცნობილი ურუგვაელი თავდამსხმელი ხუან სკიაფინო ძველ ამბებს იხსენებს: 1950 წელს ბრაზილიელებს გოლი მანაც გაუტანია

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲡᲢᲣ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐᲛ ᲐᲖᲐᲠᲐᲚᲐ

მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე განვითარებულმა მოვლენებმა თბილისის „ვითას“ ტრადიციულ ჩემპიონობას წყალი შეუყენა. შემადგენლობაშემოფანტულ შვიდგზის ჩემპიონს მართლაც ღირსეული მოცილეები გამოუჩნდნენ. აქეთ ბათუმის „ბასკო“, იქით რუსთავის „აზოტი“ და... მრავალთაგან წინდაწინვე საჩემპიონო გუნდად შერაცხული სტუ-ქართულ კალათბურთში „ვითას“ ბატონობა დიახაც რომ დაემხო, თუმც სტუ-მ მასზე გაცემული ავანსები ვერ განამტკიცა. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი კვლავაც მესამე ადგილზე გავიდა, „საჩემპიონო შემადგენლობამ“ ბრინჯაოს ხანა გაიხანგრძლივა... გამოდის, ორი წლის განმავლობაში ერთი და იგივე ადგილი ტკეპნა სტუ-მ. გუნდმა არ დათმო პოზიციები, მაგრამ ვერც წინ წაიწია, რაც საეჭვოა, კლუბის ხელმძღვანელებმა აქტივში ჩაუთვალონ ტექნიკოსთა ახალ გამწვრთნელს, ნუგზარ ჭეიშვილს. სეზონის დასაწყისში მიანდეს მას სტუ-ს თავკაცობა. ახლა უკვე დამთავრებულია სეზონი. ნუგზარ ჭეიშვილს ყველაფერზე საკუთარი შეხედულება აქვს, მეცხრე ეროვნულსაც თავისებურად აფასებს...

ნუგზარ ჭეიშვილი

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

— ამ ჩემპიონატში, ვფიქრობ, ერთ-ერთი ძლიერი გუნდი იყო სტუ. შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდა, სდასუ-დან დავით თორთლაძე მოვიწვიეთ, „ვითადან“ კი ორმოცაძე, ჩუბინიძე და კორძაძე გადმოვიბრეთ. ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ საჩემპიონო ამბიცია გაგვიჩნდა, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ამბიციადვე დარჩა. დასამალი რა მაქვს, უკეთეს ადგილს ვგეგმავდით, სულ ცოტა ფინალში თამაშს, რაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ განვახორციელეთ.

— მაინც რამ შეგიშალათ ხელი?

— თავდაპირველად იმას გეტყვით, რომ გუნდმა ახალი სეზონისთვის მზადება ძალიან გვიან დაიწყო. ორგანიზაციულ საკითხთა მოგვარებამ დიდი დრო წაიღო და ჩემპიონატის დაწყებამდე მხოლოდ ორი კვირა ვავარჯიშე ბიჭები სრულფასოვნად. ყოველივეს ისიც დაერთო, რომ ბოლო საკონტროლო მატჩში მძიმედ დაშავდა სტუ-ს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ზურაბ ჩუბინიძე, რომელსაც ნახევარი სეზონი გაუცდა და მერეც ვერ შეძლო ჩვეული ფორმის აღდგენა. მისი შემცვლელის მოძებნა კი არცთუ იოლი აღმოჩნდა.

— ეს რომ არა, უკეთეს შედეგს მიაღწევდით?

— შესაძლოა ასეც ყოფილიყო, თუმც მიმაჩნია, რომ სტუ ყველაზე მეტად ფედერაციის მიერ ჩემპიონატის მსვლელობისას დანერგილმა სიახლეებმა აზარალა. დებულებაში საერთოდ არ იყო ნათქვამი, რომ ნახევარფინალური სერია მიმოსვლით გაიმართებოდა. ჩემი გუნდი ამისთვის მზად არ იყო.

— მაინც რატომ ფიქრობთ, რომ ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგზე, თქვენც ხომ საკუთარ კედლებში დაუხვდით „აზოტს“?

— საქმე ისაა, რომ მასპინძლები სტუმრის როლში აღმოვჩნდით. როცა ფედერაციამ ნახევარფინალის მიმოსვლით ჩატარება ბრძანა, გადავწყვიტეთ, ჩვენი დარბაზიც მოგვეწესრიგებინა, რათა რუსთაველებთან საკუთარი ქომაგების თვალწინ გვეთამაშა. ამას გარკვეული დრო დასჭირდა და ჩვენც იძულებულნი გავხდით, სხვაგან გვევარჯიშა.

უმთავრესი მაინც ის გახლავთ, რომ მიმოსვლით სისტემას მოედნის უპირატესობის ფაქტორიც დაერთო. ჩვენ თითქმის განაღდებული გვქონდა ოთხეულში მოხვედრა და წესით, მშვიდად უნდა მოვმზადებულიყავით ნახევარფინალისთვის. ამასობაში კი ახალი საზრუნავი გაგვიჩნდა, აუცილებლად უნდა გაგვესწრო „აზოტისთვის“, რათა მოედნის უპირატესობა დაგვებეევებინა. ყოველივემ გვარიანად მოშალა საწვრთნელი ციკლი, მწვრთნელებმა მუშაობის კურსი შევცვალეთ, ცოტა ავჩქარდით კიდეც. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ სტუ-მ პიკს ექვსეულის ბათუმური წრის მსვლელობისას მიაღწია და არა ნახევარფინალურ შეხვედრებში, რასაც წინდაწინ ვგეგმავდით. ერთი სიტყვით, ვიცოდით, რომ „აზოტთან“ ვერის ბაღში, თანაბარ პირობებში უნდა გვეთამაშა, საბოლოოდ კი სხვაგვარად გამოვიდა, რამაც მეტოქის წისქვილზე დაასხა წყალი.

— თქვენს მიერ ჩამოთვლილი არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატის დროსაც ხშირად რომ ჰქონდა ჩავარდნა სტუ-ს?

— გეთანხმებით, იყო მატჩები, როცა გუნდი შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ავლენდა, მაგრამ ეს ისევ და ისევ არასრულფასოვანი მომზადებით აიხსნება. მწვრთნელებს კალათბურთელთა ფიზიკური კონდიციები არ გვაკმაყოფილებდა და ამ ნაკლის აღმოფხვრას შუა სეზონშივე შევუდექით. სამი თვე შტანგაზე ვავარჯიშეთ ბიჭები, ამ ხნის მანძილზე ბურთს არ გავკარებივართ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შაბათ-კვირაობით ჩემპიონატის მატჩებში ვმონაწილეობდით. ცხადია, კალათბურთელებს სათამაშო პრაქტიკა მოაკლდათ, თუმც ამაზე დიდად არ ვღელავდით, რადგან ოთხეულში გასვლა სათუო არასდროს გაგვიხდია. მიზანი კი, აკი გითხარით, ნახევარფინალურ სერიაში წარმატებული თამაში გახლდათ. დებულების შეცვლამ, სამწუხაროდ, გეგმები ჩაგვიშალა.

— გამოდის, ნახევარფინალში მხოლოდ თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დამარცხდით...

— მთლად ასეც ნუ გაიგებთ, შეცდომები მწვრთნელებმაც დავუშვით და კალათბურთელებმაც. არც ის დაივიწყოთ, რომ ეს ჩემი დებიუტი იყო, მანამდე არასდროს გამიწვრთნია უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდი.

მიმაჩნია, რომ თამაშს შვიდი-რვა კაცი იგებს. ჩვენი ბრალი ისიც იყო, რომ გუნდის ბირთვი ვერ გამოვკვეთეთ, მთელი სეზონი ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში ვიყავით.

— ეს იმაზე ხომ არ მიგანიშნებთ, რომ გუნდი არასწორად დაკომპლექტდა?

— ასე სულაც არ ვთვლი, საკმაოდ ძლიერმა კალათბურთელებმა მოიყარეს თავი სტუ-ში. რაც მთავარია, მეგობრული გუნდი შეიკრა, ატმოსფეროც ჯანსაღი იყო. მაინც მგონია, რომ დრო არ გვეყო, რათა უკეთესი შედეგისთვის მიგვეღწია.

— შინაურ კედლებში ორჯერვე პირწმინდად დამარცხდით „აზოტთან“. ეს გვაფიქრებინებს, რომ ფსიქოლოგიურად სათანადოდ ვერ განაწყვეთ შეგირდები...

— ამას არც მე უარვყოფ. ძალიან მინდოდა, ნახევარფინალური სერიის წინ გუნდში ფსიქოლოგი მოგვეწვია, მაგრამ არ მოხერხდა, რამაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად შეგვაფერხა. ამ მხრივ „აზოტი“ ერთიორად კარგად იყო მომზადებული, რუსთაველთა გუნდს, ჩვენგან განსხვავებით, დიდი გამოცდილებაც უმაგრებდა ზურგს.

— გამოუცდელი არც თქვენ გუნდზე ითქმის...

— არ ვეთანხმები აზრს, რომ სტუ გამოცდილი გუნდია. კალათბურთელთა უმეტესობის ასაკი ოც წელს არ აღემატება და რატომ ამბობენ ამას, ჩემთვის გაუგებარია. სტუ საჩემპიონო გუნდადაც მონათლეს, რაც ასევე არასწორი ნათქვამია. ეს ბიჭები [illegible] წლეულს „მაკაბი“ უფრო იყო საჩემპიონო, ვიდრე ჩემი გუნდი. შემადგენლობით არც ერთ მეტოქეს არ ჩამოუვარდებოდა — შენგელია, ფერიაშვილი, ტალაბაძე, ბერიშვილები, ნოზაძე — არ კმარა?

— არსებობს მოსაზრება, რომ თუ დავით თორთლაძეს თამაში გამოსდის, სტუ-ს ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეუძლია...

— თორთლაძე მართლაც ფასდაუდებელ სამუშაოს ასრულებს სტუ-ში. მიმაჩნია, რომ მან მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა, სპეციალისტები მის თამაშში პროგრესსაც შენიშნავდნენ. თორთლაძე, როგორც არასდროს, ისე იხარჯებოდა გუნდის ინტერესებისთვის.

— ნახევარფინალურ შეხვედრებში სტუ-ს წარუმატებლობა იმან ხომ არ გამოიწვია, რომ თორთლაძემ მთლად კარგად ვერ გაართვა თავი დაკისრებულ ფუნქციებს?

— მასთან არაფერი მაქვს სასაყვედურო, რაც შეეძლო, ყველაფერი გაიღო. აი, მსაჯების მიმართ კი მართლაც გამაჩნია პრეტენზია. „აზოტთან“ პირველი მატჩი 26 ქულით წავაგეთ. თითქოს სათქმელიც რაღა უნდა მქონდეს, მაგრამ ასეც არ არის საქმე. ვფიქრობ, ეს მარცხი მნიშვნელოვნად განაპირობა ხარვეზიანმა მსაჯობამ. მეტოქემ მას შემდეგ გაგვტეხა, რაც ერთი მონაკვეთი 14:0 მოგვიგო, ამ მცირე დროში კი არბიტრებმა ექვსი ცალმხრივი შეცდომა დაუშვეს. ეს მატჩი ვიდეოჩანაწერზე აღვბეჭდეთ, მაჩალაძემ და ბერეკაშვილმაც თავიანთი თვალით იხილეს ყოველივე. მერე ერთმანეთს საყვედურობდნენ, მე თუ ვერ დავინახე, შენ რაღას აკეთებდიო.

ისე არ გამიგოთ, თითქოს მათ მიკერძოებულ ქმედებაში ვადანაშაულებდე, ვერც წარმოვიდგენ, თუ როდისმე გამიბედავენ ამას ეს ბიჭები. უბრალოდ გულდასაწყვეტია, რომ ამას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია, ხოლო როცა რეგულარული ჩემპიონატის დროს „მაკაბისთან“ მატჩის ბოლო წამებზე მაკა კუპატაძემ სტუ-ს სასარგებლოდ დასტვინა, ერთი ამბავი ატეხეს. კუპატაძე ჭეიშვილის გაზრდილია და დაუსტვენდა, აბა, რას იზამდაო. თუ ასეა, მაჩალაძე და ბერეკაშვილი სტუ-ს საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ, მაგრამ თავადაც იცით, ჩემპიონები არ გავმხდარვართ. ჩვენს საზიანოდაც არაერთხელ უმოქმედიათ მსაჯებს, მაგრამ ამაზე ლაპარაკს ახლა აზრი აღარ აქვს. უკვე დროა, ფედერაციამ მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე იზრუნოს.

— კლუბის ხელმძღვანელობას თუ ესაუბრეთ, როგორ აღიქვეს სტუ-ს მესამეობა?

— შედეგი უარყოფითად არ შეფასებულა. გვქონდა შანსი, უკეთეს ადგილზე გავსულიყავით, მაგრამ, რაც მთავარია, უკან არ წავსულვართ. თუ დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ გუნდის წლევანდელი შემადგენლობა შარშანდელზე ძლიერი სულაც არ ყოფილა. შარშან სტუ-ს ძმები ნაცვლიშვილები, რევაზ ჩხეიძე, ცქიტიშვილი, ჩერქეზიშვილი ჰყავდა. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ამ შემადგენლობით მესამეობა სულაც არ გახლავთ ურიგო.

— სამომავლოდ რა გეგმებს ისახავს გუნდი?

— ყველაფერს ფინანსები განსაზღვრავს. თუ მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, შესაბამისად ამბიციებიც მოიმატებს და შედეგიანობაც.

— მომავალი სეზონისთვის როდიდან შეუდგებით მზადებას?

— ეს უკვე ფედერაციაზეა დამოკიდებული. ჯერ მათ გადაწყვიტონ, როდის დაიწყებენ ახალ ჩემპიონატს და ჩვენც ამის მიხედვით ვიმოქმედებთ. საერთაშორისოდ ფედერაციაში არც ეს იცან და არც ახალი დებულება არსებობს. გამოცდილება უკვე გვაქვს და დებულების თითოეულ პუნქტს საგულდაგულოდ ჩავუკვირდებით.

— დაბოლოს, მეცხრე ეროვნულის თქვენეული ხუთეული დასახელეთ.

— თორთლაძე, გოგობერიშვილი, ორმოცაძე, ბაბიაშვილი, კილაძე. ეს ბიჭები, ვფიქრობ, გამორჩეულნი იყვნენ თავიანთ ამპლუაში.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲯᲮᲕᲘᲚᲘ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲚᲐᲕᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

ᲡᲢᲣ-Ს ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ: ᲐᲛᲠᲝᲡᲘ ᲝᲠᲛᲝᲪᲐᲫᲔ (ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ) ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲝᲠᲗᲚᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპული ამბები

ისრაელი

შეფერი კალათბურთიდან წავიდა, ჯამჩი მაკაბიდან გაუშვეს

ამას არც თელ ავივის „მაკაბი“ ელოდა, არც ისრაელის კალათბურთის ფედერაცია და არც ევროპულ კალათბურთში ჩახედული ნებისმიერი ადამიანი. როგორი საქმეა, როცა 28 წლის ჯან-ღონით სავსე ჯანმრთელი კაცი, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო უკანა-ხაზელი, კარიერის პიკში მყოფი კალათბურთელი სპორტიდან მიდის. ყველაფერი ეს „მაკაბის“ და ისრაელის ნაკრების წევრს დორონ შეფერს ეხება. ებრაელმა კალათბურთელმა, სავსებით მოულოდნელად, კარიერის დასრულება აუწყა ხალხს.

შეფერმა თელ ავივის სასტუმრო „ჰილტონში“ პრეს-კონფერენცია მოაწყო, სადაც შეკრებილთ თავის გადაწყვეტილება ამცნო. შეფერს ორი მეგობარი უმშვენებდა გვერდს — ისრაელის ნაკრების წევრები ოდედ კატაში და გაი გუდესი. შეფერმა თქვა, ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო, რის გამოც კალათბურთთან გამოთხოვება მიწევსო. კალათბურთელმა აღნიშნა, რომ სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მანამდე ათი თვე ფიქრობდა. მას არ დაუკონკრეტებია სპორტიდან წასვლის მიზეზი, თუმც აღნიშნა: ჩემს ცხოვრებაში ისეთი რამ მოხდა, რამაც ყველაფრის შეცვლა მაიძულაო.

შეფერმა დიდი მადლობა მოახსენა „მაკაბის“ ხელმძღვანელობას და აღნიშნა, იმედია კლუბი ჩემზე ნაწყენი არ დარჩებაო. ისე, როგორ გინდა მშვიდად შეხედო ამ ამბავს: დორონი „მაკაბის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და კონტრაქტით კიდევ ორი სეზონი გუნდში უნდა ყოფილიყო. შეფერმა ყველა გზა არ მოიჭრა და თქვა, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს კალათბურთს დავუბრუნდე კიდეც, ოღონდ დღეს აუცილებლად უნდა წავიდეო.

დორონ შეფერის პროფესიული კარიერა გალილ ელიონის „ჰაპოელში“ დაიწყო. მისი ლიდერობით 1993 წელს ამ გუნდმა არნახული რამ ჩაიდინა: თელ ავივის „მაკაბის“ 23-წლიანი ბატონობა დამთხო და ისრაელის ჩემპიონი გახდა. იმავე წელს შეფერი ამერიკაში წავიდა და კონექტიკუტის უნივერსიტეტში სწავლობდა და თამაშობდა. ოკეანის გაღმა ყოფნისას ებრაელმა კალათბურთელმა სტუდენტური ლიგის რამდენიმე ინდივიდუალური პრიზი მოიპოვა. 1996 წელს შეფერი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დრაფტში მოხვდა: იგი „ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ დაისაკუთრა. შეფერმა თავად იუარა პლანეტის უძლიერეს ლიგაში თამაში და სამშობლოს დაუბრუნდა, სადაც თელ ავივის „მაკაბის“ რიგებში ზედიზედ ოთხჯერ გახდა ისრაელის ჩემპიონი, წლეულს კი ევროლიგის ფინალშიც ითამაშა.

შეფერის წასვლამ დიდი თავსატეხი გაუჩინა „მაკაბის“. საჭიროა მისი შემცვლელი და კლუბმა ებრაელთაგან გაი გუდესს, ლიორ ლუბინს და ტალ ბურშტეინს დაადგა თვალი. მაკაბელებმა უცხოელებზეც იფიქრეს და სათავისოდ ამერიკელი ჰენრი ვილიამსი და ფრანგი ანტუან რიგოდო შეიგულეს.

ჰენრი ვილიამსთან მოლაპარაკება თითქოს წარმატებით მიმდინარეობდა. მოულოდნელად ამერიკელის ახლანდელი კლუბის, იტალიური „აეროპორტის“ მფლობელმა განახცდა, მომავლის გუნდი ვილიამსის გარშემო უნდა ავაშენოთო და ებრაელთა გეგმებიც ჩაიშალა. ფრანგი რიგოდოს თავისთან მარტო გადმოყვანა (ხელფასის გაუთვალისწინებლად) „მაკაბის“ 1,3 მილიონი დოლარი უჯდებოდა. კლუბმა იფიქრა, იფიქრა და განაცხადა: ამდენი ფულის დახარჯვა რომ შეგვეძლოს, ათენის „პანათინაიკოსიდან“ ოდედ კატაშის დაბრუნებას შევეცდებოდითო.

„მაკაბის“ სამწუხაროდ, შეფერი მისი ერთადერთი დანაკარგი არ იქნება. ბოლო სეზონში გუნდის ლიდერად ჩამოყალიბებული ამერიკელი ნეით ჰაფმანი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში აპირებს გადაბარგებას. ჰაფმანი ამჯერად ამერიკაშია და ნბა-ს რამდენიმე გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ებრაული კალათბურთის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშის, 39 წლის დორონ ჯამჩის ბედი კი გარკვეულია: ერთწლიანი თანამშრომლობის შემდეგ მისი და „მაკაბის“ გზები გაიყარა. ჯამჩის წლეულს ჩემპიონატის მატჩებში საშუალოდ 15 წუთს ათამაშებდნენ, ხოლო ევროლიგაში — 13 წუთს. მაკაბელთა მწვრთნელი პინი გერშონი ვეტერანით მთლად კმაყოფილი არ იყო. მაკაბური სიტუაცია არც ჯამჩის ეხატებოდა გულზე და ამიტომაც გაცლა ამჯობინა. წასვლისას მან თქვა: „არ მინდა გავჩერდე იმ გუნდში, სადაც თავს კარგად ვერ ვგრძნობ. რამდენიმე სეზონი კიდევ ვაპირებ თამაშს და ისეთ გუნდში წავალ, რომლისთვისაც ჩემი გამოცდილება საჭირო იქნება“.

დორონ შეფერი (№11)

ჯამჩიზე დიდხანს „მაკაბის“ სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ რუმინელი ცენტრი კონსტანტინ პოპა იჯდა. 222-სანტიმეტრიან გიგანტს დაუმთავრდა ოთხწლიანი კონტრაქტი და „მაკაბიმ“ მისი განახლება აღარ შესთავაზა. ამჟამად პოპა თავისუფალი აგენტია და ამ სტატუსით ცდილობს ინგლისის „ლონდონ თაუერზში“ გადასვლას.

ჭრილობა Perla

პ ე რ ლ ა

ჭრილობა Perla

მარგალიტების მაღაზია



კოსტავას 47

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

კროკოს ბიუროები ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღემდე შეკვეთების გარეშე იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)

ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი

		28 ივნისი			
029	საფრანგეთი-პორტუგალია	1,65	3,3	4,7
		29 ივნისი			
030	ჰოლანდია-იტალია	1,9	3,2	3,5
		მჩ შესარჩევი მატჩები			
		28 ივნისი			
032	ბრაზილია-ურუგვაი	1,25	4,4	8,0
033	ვენესუელა-ბოლივია	4,4	3,1	1,6
		29 ივნისი			
034	კოლუმბია-არგენტინა	2,5	2,8	2,6
035	ჩილე-პარაგვაი	1,8	2,8	4,4
036	ეკვადორი-პერუ	2,1	2,8	3,3
		ავსტრია. სუპერთასი			
		30 ივნისი			
045	ტიროლი-გრაცერი	1,7	3,1	4,4

I ტაიმი/ძირითადი დრო

			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		28 ივნისი									
23.45	079	საფრანგეთი-პორტუგალია	2,4	10,0	20,0	3,0	5,0	8,5	12,0	9,0	7,0
		29 ივნისი									
21.00	080	ჰოლანდია-იტალია	2,8	10,0	18,0	3,4	4,5	6,3	12,0	9,0	5,6

(დასაშვებია №№079-080 გადამრავლება)

ჩემპიონი		ფინალში გასვლა	
28 ივნისი (21.00)		28 ივნისი (21.00)	
101 ჰოლანდია	2,0	201 ჰოლანდია	1,4
იტალია	3,5	იტალია	2,3
საფრანგეთი	2,0	საფრანგეთი	1,35
პორტუგალია	5,3	პორტუგალია	2,6

(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)

ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი. 28 ივნისი (21.00)

701	მილოშევიჩი 4,0	701	ფ.ინძაგი 20,0
	კლუივერტი 1,1		ზენდენი 50,0
	კონსეისაუ 15,0		ტოტი 30,0
	ანრი 10,0		გომეში 15,0
	ფ. დე ბური 50,0		ანელკა 50,0
	დელ პიერო 50,0		ჯორკაეფი 30,0

იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია სიაში არასწორი გადამრავლებისას, დარჩება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია

გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

შავებს ულხინთ, ვოლაბებს უჭირთ, ქურციკებს რცხვენიათ



ახალზელანდიელ ენტონ ოლივერს კრეიგ მოირმა მეორე ლელოს გატანაში ხელი ვერ შეუშალა

ტესტი

24 ივნისი, დანიდინი

ახალი ზელანდია 69:20 შოტლანდია

ახალი ზელანდია: კალენი (მაკდონალდი 50), უმაგა, იერემია, ალატინი, ლომუ, მერთენსი, კელეჰერი, კრიბი, რობერტსონი, რენდელი (კრონფელდი 50), ბლეკედერი (კაპ.), მაქსველი (ფლეველი 65), ჰოფტი, ოლივერი (ჰემიტი 65), სამერვილი (დაუდი 59)

11 ლ — ლომუ (3), უმაგა (2), ოლივერი (2), კრიბი, კალენი, ალატინი, ფლეველი; **7 გ** — მერთენსი

შოტლანდია: პატერსონი, მოირი, თაუნსენდი (შილდი 56), მაკლარენი (ჯოინერი 61), ლონგსტაფი, ჰოდჯი, ნიკოლი (კაპ.), ბიტი, მ. ლესლი (სიმპსონი 61), ვაიტი, მეტკლფი, მიურეი (ფულარტონი 35), ბ. სტიუარტი (მ. სტიუარტი 70), ბალოკი, სმიტი

2 ლ — მეტკელფი, სიმპსონი; **2 გ** და **2 ს** — ჰოდჯი

ახალზელანდიელი „შავები“ შოტლანდიასთან პირველ ტესტში „ნახევრად შავები“ იყვნენ, რადგან მაისურები თეთრი ფერისა ემოსათ. თუ ჩაცმულობით სახელი გაინახვრეს, სამაგიეროდ, თამაშით, მათ რომ ეკადრებათ, ისე ითამაშეს და სტუმრებს მწარე მარცხიც აგემეს. აქამდე შოტლანდიას ტესტ-მატჩებში ამდენი ლელო არ გაეშვა.

მხოლოდ ოთხი წუთი დასჭირდათ მასპინძლებს, რათა მეტოქის დაცვისთვის გასაღები მოერგოთ. შეხვედრის დაწყებიდან ზუსტად ეს დრო იყო გასული, როცა კვაჭმა ენტონ ოლივერმა კარგა მანძილის გარბენის შემდეგ სკოტების სალელოე მოედანს ბურთიანად უწია. ამის მერე შოტლანდიის დაცვა ერთი ხანობა საკმაოდ კარგად ირჯებოდა, რაც უმთავრესად მორკინალების დამსახურებაა, თუმცა წინახაზელები შეტევაში ვეღარ იჩენდნენ ფხას. მასპინძლები დიდი ხნით ათამაშებდნენ ბურთს და მოწინააღმდეგის იერიშებს მალე შლიდნენ, მაგრამ ერთი შეტევა მაინც გაეპარათ. მათდა სასიხარულოდ, კალენმა ლონგსტაფის შეჩერება ბოლო მომენტში შეძლო. მერე ჰოდჯმა ორი საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა და...

ამას „ოლ ბლექსის“ საშინელი რეაქცია მოჰყვა. შესვენებამდე დარჩენილ დროში ახალზელანდიელებმა სამი ლელო გაიტანეს და ერთი ამდენის გატანა კიდევ შეეძლოთ. თავიდან კრაისტჩერჩელმა რონ კრიბმა გამოიჩინა თავი. ეს ლამაზი კომბინაციის შემდეგ მოხდა, რომელშიც რეა მორაგბემ მაინც მიიღო მონაწილეობა. კრიბისთვის ეს პირველი სანაკრებო ლელო გახლდათ პირველ ოლბლექსურ მატჩში. შემდეგ კი „ღვაწლმოსილი შავების“ ჯერაც დადგა. ჯერ ჯონ ბულლიზერ“ ლომუმ დაალეწინა [illegible], მერე კი იყო ველინგტონის მეორე ფრთის, ტანა უმაგას ლელო.

შესვენებისას იმას კი აღარ კითხულობდნენ, თუ ვინ გაიმარჯვებდა, არამედ მასპინძელთაგან რამდენი კაცი გაიტანდა ლელოს.

ამის მიზეზი კი ახალზელანდიელთა კლასთან ერთად სკოტების ტრავმებიც იყო. პირველი ტაიმის მიწურულს სკოტ მიურეის მოუხდა მინდვრის იძულებით დატოვება, მეორის დასაწყისში კი თაუნსენდს თვალში ისეთი მოხვდა, ლამის დაბრმავდა (ცალი თვალით) და მისი შეცვლაც საჭირო გახდა. ამის მერე შოტლანდიის დაცვა, ფაქტობრივად, მოიშალა და კიდევ შვიდი ლელო გაუშვა. სკოტები ხშირად ელემენტარულ შეცდომებს უშვებდნენ, რასაც მეტოქე კარგად იყენებდა.

ოლივერმა 30-მეტრიანი რეიდი ლელოთი დააგვირგვინა. ლომუმ კიდევ ორჯერ გადათელა მეტოქეთა დაცვითი ჯებირები. შოტლანდიელები დერეფანშიც დაიჩაგრნენ, არადა, თითქოს აქ მაინც უნდა ჰქონოდათ უპირატესობა.

მატჩის მიწურულს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, წინ გაქცეულები მოდუნდნენ, რითაც ჩამორჩენილებმა ისარგებლეს. ჯერ მეტკელფმა დაალელოვა მასპინძლები, შემდეგ კი შეცვლაზე შესულმა სიმპსონმა. ბოლო სიტყვა კი ასევე შეცვლაზე შესულმა ტრიო ფლეველმა თქვა, ვინაც ბოლო ორ მატჩში მეოთხე ლელო მიითვალა.

„შავების“ კაპიტანმა ტოდ ბლეკედერმა თამაშის შემდეგ ეს თქვა: „მართალია, ბევრი ახალბედა გვყავს, მაგრამ მაინც ბრწყინვალედ ვითამაშებთ, რითაც ბედნიერი ვარ. ჯერ ტონგას ვძლიეთ 102:0, ახლა შოტლანდიასაც ვაჯობეთ. ვგონებ, სამი ერის პირველობის მოგებაც შეგვიძლია“.

ტესტი

24 ივნისი, კანბერა

ავსტრალია 32:25 არგენტინა

ავსტრალია: ლეითამი, მორტლოკი, ჭერბერტი, კეიფერი (ლითლი 74), როფი, ლარკემი, გრეგანი, უილიამსი, უილსონი, კოკბეინი (ლაიონზი 75), ილზი (კაპ.), გიფინი (კონორსი 71), დაისონი, ფოლი (ჰოლი 36), ჰარი

3ლ — როფი, ლეითამი, მორტლოკი; **1გ** და **5 ს** — მორტლოკი

არგენტინა: კორლეტო, ბარტოლუჩი, ორტეგა, არბიზუ (კაპ.), ალბანეზე, კონტეპომი, პიჩოტი, ლონგო, მარტინი, ფელანი, ფერნანდეს ლობე (ლანეი 39), ალუბი, სელსო (დოს ალბერტი 59), მენდესი, გრაუ

2ლ — კორლეტო, მენდესი; **5ს** — კონტეპომი

არგენტინამ ავსტრალიაში მეორე ტესტიც გამართა და ამჯერად მხოლოდ შვიდი ქულით დამარცხდა. ერთი გარდასახული ლელო დააკლდათ „პუმებს“ სენსაციის მოხდენამდე. მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ისინი ოთხ ქულას აგებდნენ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონებმა თავს მოდუნების უფლება არ მისცეს და ზედიზედ მეცხრე სანაკრებო გამარჯვება იზეიმეს.

ავსტრალიელები მეტად კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი დამრტყმელის, სტირლინგ მორტლოკის დაბრუნებით, რომელმაც პირველი ტესტი გამოტოვა. კანბერელმაც თანაგუნდელებს იმედები არ გაუცრუა და ჩინებულად ითამაშა. მისი მონაგარი ერთი გარდასახული ლელო და ხუთი საჯარიმოა — ჯამში 22 ქულა. მოწინააღმდეგე ბანაკიდან ყველაზე შედეგიანი ხუთი ზუსტი საჯარიმოთი ფელიპე კონტეპომი იყო, თუმცა მორტლოკივით ბრწყინვალედ იგი მაინც ვერ გაისარჯა.

ამ მატჩს არაფერი ჰქონდა საერთო თავის წინამორბედთან, გარდა მონაწილე გუნდებისა, რომლებზეც იფიქრებდით, სულ სხვა ნაკრებები არიანო. ანგარიშში დიდი სხვაობით დაწინაურება „ვოლაბებმა“ ვერა და ვერ მოახერხეს, მხოლოდ თავიდან გაექცნენ „პუმებს“ თერთმეტი ქულით, მერე კი... თუმცა, ანგარიშის ცვლილებებს გაგაცნობთ და თავად დარწმუნდებით იმაში, თუ როგორი დაბაბული იყო შეხვედრა: 11:0, 11:11, 14:11, 14:14, 21:14, 21:17, შესვენება, 21:20, 29:25, 32:25.

ახლა არგენტინელებს თავაწეულებს შეუძლიათ შინ დაბრუნება. მათ ტურნეს ოთხი მატჩიდან ორი მოიგეს, მართალია, ორივე ტესტში დამარცხდნენ, მაგრამ მეორეში ფიცხელი ბრძოლა გამართეს და მატჩი ლამის გადაარჩინეს. ავსტრალიაში ამის გაკეთება კი ბარე ორს არ ხელეწიფება. სამაგიეროდ, ავსტრალიელთა მთავარ მწვრთნელ მაკქუინს სამი ერის პირველობის დაწყებამდე კიდევ ბევრი სამუშაო აქვს.

არა, მის მორაგბეებს ცუდად ნამდვილად არ უთამაშიათ, ამას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ თუ „პუმებთან“ მხოლოდ შვიდი ქულით იმარჯვებდნენ, „შავებთან“ და „ქურციკებთან“ რას გააწყობენ? ამ ტესტში ბურთს უფრო მეტხანს (57 პროცენტი) სტუმრები ფლობდნენ. შერკინებასა და გოლებშიც მათ ჰქონდათ უპირატესობა (67:47). ერთი სიტყვით, სამხრეთამერიკელთა მორკინალები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. მაკქუინი კი, ალბათ, იმით უნდა იმშვიდებდეს თავს, რომ მისი გუნდი დაცვაში მაინც საკმაოდ კარგად ირჯებოდა.

მატჩი ადგილობრივი დროით 20 საათზე დაიწყო. ჰაერის ტემპერატურა ძალიან დაბალი იყო, ლამის ყინავდა. არგენტინელთა ტაქტიკა მარტივი და სწორი იყო. ისინი ცდილობდნენ, ბურთი შეძლებისდაგვარად დიდხანს ეკონტროლებინათ და თავიანთი შერკინების ხარჯზე წინ წაეწიათ. გაუმართლათ კიდეც. მსოფლიოს ჩემპიონებთან მხოლოდ 7 ქულით წაგება არგენტინისთვის ნამდვილად მიღწევაა.

ტურნე მშვენივრად ჩავატარეთო და არგენტინელებმა ოფიციალურად ითხოვეს, ზე 12-ში ერთი ადგილი მაინც გამოგვიყავითო. რას იტყვიან ბობოლა სამხრეთელები, ჯერ უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ უახლოეს ოთხ-ხუთ წელიწადში უმთავრეს საკლუბო ტურნირში არგენტინულ გუნდს ვერ ვიხილავთ.

არგენტინელი ლისანდრო არბიზუ (№12) და კრის ლეითამი ბურთის დასაუფლებლად იბრძვიან

„ქურციკთა“ ძლევით გახარებული მაიკ კეტი

ტესტი

24 ივნისი, ბლომფონტეინი

სამხრეთ აფრიკა 22:27 ინგლისი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, პაულსი, ფლეკი, ბარი, როსოუ, ფან სტრაატენი (უილიამსი 41), ფან დერ ვესტჰოიზენი, ფენტერი, ფოსი (კაპ.), კრაიჯი, ოტო, ბოომი, ვისაგი (ლე რუ 63), მარე, კემპსონი

1 ლ — ფან დელ ვესტჰოიზენი; **1 გ** და **5 ს** — მონტგომერი

ინგლისი: პერი, ჰილეი, ტინდელი (ლოიდი 73), კეტი, კოენი, უილკინსონი, ბრაკენი, ბეკი, დალალიო, ჰილი (შოუ 62), გრივკოკი (უორსლი 55), ჯონსონი (კაპ.), ვაიტი, გრინინგი, ლეონარდი

8 ს და **1 ა** — უილკინსონი

„ქურციკები“ მეორედ შეხვდნენ ინგლისელებს და ამჯერად დამარცხდნენ. ევროპელებმა ერთი კვირით ადრე წაგებული მატჩის შეცდომები, ალბათ, კარგად გააანალიზეს და გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. რაც მთავარია, მათ ტრადიციისამებრ ძალიან კორექტულად ითამაშეს და მეტოქეს საჯარიმოებით ქულების დაგროვების საშუალება არ მისცეს.

მატჩს 37 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, რომელთა ყიჟინით გამხნევებული „ქურციკები“ თავიდანვე მედგრად ეკვეთნენ მეტოქეს. მაგრამ ხომ გაგიგიათ, მოვიდა სიტყვა და დახვდა ქვაო, სწორედ ასე მოხდა. სტუმართა დაცვა გმირულად იბრძოდა, თითქოს საკუთარ სალელოე მოედანს კი არა, სამშობლოს და თავისუფლებას იცავდა. ბურთი უმეტესად ინგლისელთა ნახევარზე ტრიალებდა, მაგრამ სამხრეთაფრიკელები ტერიტორიული უპირატესობის ანგარიშში ასახვას ვერ ახერხებდნენ.

სამაგიეროდ, თითქმის უშეცდომოდ ურტყამდა ჯონ უილკინსონი, რომელმაც პირველი ტესტი გამოტოვა. აფრიკელებიც მის წისქვილზე ასხამდნენ წყალს, რადგან საკმაოდ ხშირად ჯარიმდებოდნენ. საბოლოოდ უილკინსონმა 8 საჯარიმო და ერთი არეკანი გაიტანა და მისმა გუნდმაც სწორედ ამის წყალობით მოიგო.

პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 18:12 იყო ინგლისის სასარგებლოდ. მეორე ორმოცწუთიული მათი მცირედი სათამაშო უპირატესობით წარიმართა. უილკინსონიც კარგად ურტყამდა და მე-80 წუთისთვის სტუმრები 27:15 იგებდნენ. სწორედ აქ გავიდა შეხვედრის ერთადერთი ლელო, რომელიც პრეტორიელი იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენის ანგარიშზეა. ავსტრალიელი მსაჯი თავიდან ლელოს ჩათვლას არ აპირებდა, მაგრამ მერე ვიდეოფირმა დაარწმუნა მის სამართლიანობაში და აღარ უჭოჭმანია.

ინგლისი შინ არგენტინასავით ამაყად თავაწეული ბრუნდება, სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელ ნიკ მალეტს კი სამი ერის პირველობის დაწყებამდე, თავისი ავსტრალიელი კოლეგის მსგავსად, თავზე საყრელად აქვს საქმე.

გაიოზ თალაკვაძე

წყნარი ოკეანის ჩემპიონატი

მეხუთე ტური

24 ივნისი

ტონგა 16:13 სამოა

სამოა	3	2	0	1	2	1	112:42	11
ფშ	2	2	0	0	2	0	70:46	10
ტონგა	4	2	0	2	1	1	75:92	10
ფიჯი	3	2	0	1	1	0	89:75	9
კანადა	2	1	0	1	0	0	54:45	4
იაპონია	4	0	0	4	0	1	77:177	1

მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია

ფრენკ უორენის ჩალურჯებული თვალი ტაისონის ნახელავია

სერ ჰენრი კუპერი: ტაისონი პათოლოგია!

ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ: ᲘᲒᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘᲐ!

ᲛᲐᲘᲙ ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲛᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲙᲘᲓᲐ, ᲚᲣᲘᲡᲘ ᲒᲐᲐᲪᲝᲤᲐ, ᲣᲝᲠᲔᲜᲘ ᲒᲐᲚᲐᲮᲐ

ᲛᲐᲘᲙ ტაისონის თემა ძნელად ამოსაწურია, ამიტომ „სარბიელი“ მოვლენათა ცხელ კვალზე სვლას აგრძელებს.

ლუ სავარეზეს ხანმოკლე, მაგრამ უწესოდ ულმობელი ცემის, მსაჯის ხელყოფისა და მასმედიასთან თავხედობის გამო ტაისონი, შესაძლოა, ბრიტანეთში პერსონა ნონ გრატად გამოაცხადონ. დავანებოთ თავი იმას, რომ მის ქცევას ოფიციალურად სულ მალე განიხილავენ და ამჯერად ღირსეულ ხალხს მოვუსმინოთ. წარმოგიდგენთ სერ ჰენრი კუპერს, ძმიმე წონაში ბრიტანეთის ყოფილ ჩემპიონს, რომელმაც გუშინ ამერიკელი მოკრივე კულტურულად გალანძღა. მისი ნაკლოვანებებიდან ჯენტლმენმა თოკს მიღმა და გამოღმა ქცევის ელემენტარული უცოდინრობა გამოარჩია და მისი ნერვული სისტემის პათოლოგიურობას შეეხო, „ტაისონს ძალიან კარგად ვიცნობთ — დაიქუხა ბოლოს კუპერმა — მე მას ჩხუბის და პირველობის უფლებას არასოდეს მივცემდი, რადგან პირველობა მას თვითონაც არ უნდა და არ იმსახურებს. კრივს ტაისონი არ სჭირდება. ტაისონი სპორტის მკვლელია“. აქ საუბარში მისტერ ჯონ კოილი ჩაერია, კრივის დიდად მცოდნე 63 წლის რეფერი, რომელსაც გუშინ ტაისონისგან სავარეზზე ცოტა ნაკლები მოხვდა. „სერ ჰენრის ნათქვამს ოდნავ დავაკონკრეტებდი — თქვა კოილმა — ტაისონი კრივიდან ჯერ კიდევ ჰოლიფილდის ყურის მოკვნეტისთვის უნდა მოეკვეთათ, ახლა აღარც მეეჭვება, რომ ასეც იქნება“.

ამასობაში სხვა ამბებიც გაირკვა. როცა ლონდონელი იუველირები ტაისონისგან ნაყიდი ძვირფასეულობის საზღაურს ითხოვდნენ, ამ უკანასკნელმა ისინი პრომოუტერ ფრენკ უორენთან გაყარა, ის გადაიხდისო, უორენმა კი ტაისონზე მიუთითათ. მოკრივე-პრომოუტერის ურთიერთობას ბზარები დაეტყო, მაგრამ ამას ვინ ჩივის, შიგნით უფსკრულიც გაჩენილა. ტაისონს უკვე ხელთათმანები ჰქონია მორგებული, წაუძვრია და ზედ რინგზე გასვლის წინ მოუწერია კონტრაქტისთვის ხელი, მანამდე კი მიდიოდა უხმაურო კონფლიქტი, რომლის გარეგნულ გამოხატულებად, ზედ ჩხუბის წინ გლაზგოში გამოჩენილი უორენის ჩალურჯებული მარჯვენა თვალი უნდა მივიჩნიოთ. ტაისონი თურმე დიდხანს ჯიუტობდა, ადრევე შეთანხმებულ კონტრაქტს არად აგდებდა და მხოლოდ მაშინ მოსულა ჭკუაზე, როცა უორენს პოლიციაში დასარეკად გაუწვდია ხელი. პრომოუტერს კუთვნილი 3,5 მილიონი დოლარი ერგო.

და ლენოქს ლუისი... სამსახურიდან დათხოვის ღირსი იქნებოდა ის ჟურნალისტი, რომელიც არ ეცდებოდა, მომხდარზე ლუისის კომენტარი მოეპოვებინა. მასმედიის რაზმები დაიძრნენ ამერიკაში ლუისის საწვრთნელი ბანაკისკენ და გასაგებია, რასაც მოისმენდნენ, თუმცა ბრიტანელ მოკრივეს კანიბალური ტერმინები არ უხმარია, შედარებით ცივილიზებულად ილაპარაკა.

„15 ივლისს ფედერაციისა და საბჭოს ქამრებისთვის ბოთას უნდა ვეჩხუბო — თქვა ლუისმა და დავაზუსტებთ, რომ სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოთაზეა ლაპარაკი — მერე კი ნოემბერში ახალზელანდიელ დევიდ ტუასთან ვიბრძოლებ. პირველს ვერა, უკვე გადაწყვეტილია ყველაფერი, ტუასთან ბრძოლას კი უეჭველად გადავდებ, მასთან ჩხუბი ჩემთვის არაფერს ნიშნავს, ტაისონის ყბის ამონაყვა კი ძალიან მინდა. მასთან ბრძოლისთვის დიდ ფულს მომცემენ, მაგრამ ეს ფეხებზე მკიდია, ტაისონის ნოკაუტში ხილვა მაინტერესებს“.

ტაისონის სტილის მოკრივე ჩემი გამლახავი არაა, ტყუილია ეგ ამბავი, თქვა ბოლოს ლუისმა და მასმედია დაითხოვა.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ტაისონის მისამართით მწარე სიტყვები არც გლაზგოური ჩხუბის რეფერიმ ჯონ კოილმა დაიშურა

ᲛᲐᲗ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ...

ᲠᲔᲜᲐ ᲐᲑᲨᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ცნობილ ქართველ მწვრთნელ რენა აბჟანდაძეს 60 წელი შეუსრულდებოდა. იმ დღეს „დინამოს“ კორტებზე მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მეხუთე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი დასრულდა, რომელიც რენა აბჟანდაძის ფონდისა და კლუბ „დინამოს“ თაოსნობით მოეწყო. ამ შეჯიბრს საერთაშორისო იერს ერთი სომეხი და ერთიც თბილისში დაბადებული ბერძენი მონაწილე აძლევდნენ, თორემ სხვა მხრივ სარბიელი მასპინძლებს დარჩათ. ტურნირმა, მართალია, ჩოგბურთელთა უძლიერეს შემადგენლობას თავი ვერ მოუყარა, სამაგიეროდ, სპონსორების სიმრავლე და შეძლება არ დაეწუნებოდა.

შეჯიბრება გოგონათა და ვაჟთა რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში, აგრეთვე ვეტერანთა შორის გაიმართა. გოგონებში ჩემპიონები გახდნენ მარიკა არაქელოვა, ანა ჯულელი, მარია კალაშნიკოვა და ნინი ლაგვილავა, ბიჭებში — გიორგი ნაჭყებია, გიორგი გველესიანი, ირაკლი დარსაველიძე და ნიკა ქურდაძე.

ვეტერანთა ტურნირში მხოლოდ კაცები გამოდიოდნენ. ისინი ერთმანეთს წყვილებში და ორ ასაკობრივ ჯგუფში ეჯიბრებოდნენ — 45-დან 55 წლამდე და ზევით. წყვილების ფინალში ავთანდილ ლომიძემ და გივი სიხარულიძემ მიხეილ ფრიდმანისა და ვაჟა ღარიბაშვილის დუეტს მოუგეს, მესამე ადგილი მირიან ანდრიაძემ და სერგო ჰეზელიოტოვმა დაიკავეს. უმცროს ვეტერანებში პირველობა არავის დაუთმო დავით ასათიანმა, დავით მანჯგალაძემ და არჯევან ლომიძემ ვერცხლ-ბრინჯაო დაიაკუთრეს. უფროსების ფინალში იგივე ღარიბაშვილმა გეიდარ ფალავანდიშვილი დაამარცხა. მესამე რევაზ აიწურაძე იყო.

გუშინწინ თბილისში მორიგი ხსოვნის ტურნირი დაიწყო — ამ კვირაში ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტები ცნობილი მწვრთნელის, სოლომონ თუხარელის მესამე რესპუბლიკურ მემორიალს უმასპინძლებს. ტურნირში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ასამდე ჩოგბურთელთან ერთად მოსკოველი სტუმარიც მონაწილეობს. შეჯიბრი აქაც გოგონათა და ვაჟთა რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში ტარდება, გამარჯვებულები კი 2 ივლისს გამოვლინდებიან.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲒᲐᲫᲔ

ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲔᲙᲘᲓᲐ

ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ ოლიმპიური თამაშები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ იგი ამგვარ ასპარეზობათა ისტორიაში უკვე შევიდა. მან იქ ადგილი დაიმკვიდრა ტრადიციული ოლიმპიური ჩირაღდნის მოგზაურობის გამრავალფეროვნებით, რაშიც სიდნეის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ფრიად ორიგინალური სიახლე შეიტანეს. აქამდე ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა იმართებოდა ფეხით, ცხენით, აქლემით, ცურვით... ცეცხლოვანი ესტაფეტა წინ მიიწევდა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით ხმელეთზე, წყალზე და ჰაერშიც. მონრეალის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი ათენიდან კოსმოსშიც აისროლეს, ოკეანეს გადაახტუნეს და ისევ დედამიწას დაუბრუნეს, ოღონდ ოტავაში, საიდანაც ჩირაღდნის ტრადიციული მოგზაურობა გაგრძელდა.

ერთხელ ოლიმპიურ ჩირაღდანს, ცეცხლისთვის თავი რომ დაეღწია, საბრძოლო ჭურვების ბათქა-ბუთქში ტანკითაც კი მოუხდა მოგზაურობა...

ერთი შეხედვით ამ საქმეში სიახლის შეტანა წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ სიდნეისკენ მიმავალ აგიზგიზებულ ჩიროდანს გუშინ, 27 ივნისს წყალქვეშ ჩააყვინთინეს და პოსეიდონის სამეფოში ისე აყურყუმელავეს, რომ ალი არ ჩამქრალა. ეს მოხდა ავსტრალიაში, ქვიზლენდში, დიდი საბარიერო რიფის რაიონში. რაკი ისტორიული მოვლენა მოხდა, დავაზუსტებთ, რომ იქ ზღვის ბიოლოგი ვენდი კრეიგ დუნკანი კატამარან „QUACKSILVEER LONNECTIONS“-ის ქიმიდან ჩირაღდნით ხელში წყალში გადაეშვა, თან მასავით აკვალანგით აღჭურვილი როიტერის ფოტოკორესპონდენტიც გადაჰყვა და პოსეიდონის საბრძანებელში ოლიმპიური ჩირაღდნის პირველი მოგზაურობის ისტორიული კადრები ფირზე აღბეჭდა.

შეგახსენებთ, რომ სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ჩირაღდნის წყალქვეშ ჩაუქრობლად რამდენიმე წუთით მოგზაურობის საშუალებას იძლევა, დაამზადა მელბურნის კომპანია „PAIWS WESSET AVSTRALIA“-მ, რომლის წარმატებული გამოცდის რაობაზეც ჯერ კიდევ მარტში ვიუწყებოდით.

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲙᲘᲕᲘᲚᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ: ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲓᲦᲔᲡ, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში საწყლოსნო სახეობების ევროპის ჩემპიონატი იწყება. გამორჩეულ ინტერესს მოცურავეთა შეჯიბრი იწვევს. თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

ჰელსინკს ესტუმრნენ: ალექსანდრ პოპოვი, პიტერ ვან ჰოგენბანდი, ტერეზა ალსამარი, ლარს ფროლანდერი, მარკ ფოსტერი. თუმც ევროპის ჩემპიონატმა ინგე დე ბრუინი და რომან სლუდნოვი მოისაკლისა. ამიტომაცაა გამორჩეული ყურადღება პოპოვისა და ვან ჰოგენბანდისკენ რომაა მიპყრობილი. 28 წლის გამოცდილმა რუსმა შარშანდელ სტამბოლის ევროპირველობაზე ნორჩ ჰოლანდიელს ექვსი ოქრო დაანება, მაგრამ ეს ამბავი აინუნშიც არ ჩააგდო, რადგან ათჯერ მეტად ოლიმპიური თამაშები აინტერესებს. „ევროპის ჩემპიონატის მოგება ჩვენს გეგმებში არც შედიოდა“ — თქვა მაშინ პოპოვის მწვრთნელმა, მაგრამ ახლა სხვა საქმეა, ოლიმპიადა მოახლოვდა და პოპოვიც ნელ-ნელა უნდა შევიდეს ფორმაში. საქმის ვითარებას ჰელსინკში ვნახავთ, იქით კვირას, მანამდე კი ფინეთის დედაქალაქი სინქრონულად მოცურაჯეებს უმასპინძლებს.

ალექსანდრ პოპოვი

შვედი ალსამარი და ჰოლანდიელი დე ბრუინი კი ჰელსინკში ვერ შეხვდებიან. ორივე, უფრო კი დე ბრუინი, მონაწილეა მსოფლიო რეკორდების იმ კასკადისა, ბოლო ხანს საცურაო აუზების მეტი წილი რომ მოიცვა რიო დე ჟანეიროდან მონაკომდე და ამსტერდამამდე. ალსამარი სამეზობლოში კი გადავა, მაგრამ დე ბრუინმა არ თუ ვერ ჩასვა თავის გრაფიკში ჰელსინკის პირველობა და ამერიკაში დაბრუნდა. 20 წლის ციმბირელის, რომან სლუდნოვის საქმეც დაახლოებით ასეა: მოცურავე მხოლოდ და მხოლოდ სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადება და სხვა რამეებზე დროის ხარჯვას არ აპირებს, თუმცა ევროპის ჩემპიონატზე უკეთესად სად ივარჯიშებს? რას იზამ, ყველას თავისი გეგმები აქვს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ანა, გააჩინე ჩემგან ბავშვი!

„სარბიელის“ კითხვაზე პასუხი გრეგ რუზეცკის ძვირად დაუჯდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

როგორც ჟურნალისტს, აკრედიტაციის წარდგენის შემდეგ ორგანიზატორებმა მწვანე, როგორც მერე აღმოჩნდა, მეტად გამოსადეგი ჩანთა მიწყალობეს. მასში კლუბისა და პრესცენტრის გეგმებთან ერთად სამი სქელი წიგნი დევს ყველანაირი მონაცემებით უკლებლივ ყველა ჩოგბურთელზე — მაგალითად, მსურველებს შემიძლია მოვახსენო, ვისთან წააგო პატრიცია ვარტუშმა 1997 წელს როზმალენის პირველობაზე ან რა წიგნი უყვარს ყველაზე მეტად ტინა პისნიკს.

თუმც, იმედი მაქვს, ასეთი სურვილი არავის გაუჩნდება.

ჩემს პრივილეგიათა და მცირე საჩუქართა წყება ამით არ ამოიწურება — პირად მერხზე ქალთა WTA ტურის სპონსორის, ფირმა „სანექსის“ თხევადი საპნის მაგვარი, ჩემთვის ჯერაც მისტიკური დანიშნულების ორი უზარმაზარი ფლაკონი და დეზოდორი დამხვდა.

მოგვიანებით გავიგე, რომ „კოკა-კოლა“, „ფანტა“ და ფორთოხლის წვენიც უფასოდ მერგებოდა. მაგრამ მანამდე მინერალურ წყალ „პერიეში“, რომელიც ჩვენი „ბორჯომის“ წვეთადაც არ ღირს, გირვანქაზე მეტი გადავიხადე. გაბრაზებულმა გული იმით მოვიოხე, რომ საღამომდე ყველანაირ გაზიან, უბრალო თუ მინერალურ წყალს გავუსინჯე გემო და გვარიანად გავიჭყიპე.

თუმცა ცხოვრება აქ მთლად ვარდისფერიც არ არის. პრესის რესტორანი ქალაქისაზე ორ-სამჯერ ძვირია და ლამის „მეტეხი“ მოგანატროს. თითქმის 10 დოლარი გადამახდევინეს პატარა ციფრულ ბოქლომში, რომლითაც პირადი კარადა დავკეტე.

მანამდე საფუძვლიანად დამაშინეს, ნივთები მერხზე უყურადღებოდ არ დატოვოთ, თორემ შეიძლება მოიპარონო. მეც თბილისიდან წამოღებული დიქტოფონი და ნათხოვარი ფოტოაპარატი კარადაში ჩავკეტე. თავიდან ვაპირებდი, ჟურნალ-გაზეთები, ჩანთა და ფურცლებიც იქვე დამეტოვებინა, ერთხელ ასეც ვქენი, მაგრამ მერე მომბეზრდა და ახლა ბედის ანაბარა ვტოვებ-ხოლმე. ვის რა ჯანდაბად დასჭირდება. აქ საქართველოსთანა საცოდავი ქვეყნის წარმომადგენელი, ვეჭვობ, სხვაც იყოს ვინმე.

ფურცლებზე მხოლოდ მე და ერთი ჭაღარა პოლონელი ჟურნალისტი ვწერთ, სხვას ყველას წინ პორტატული კომპიუტერი (ლეპტოპი) უდგას, ბეჭდავს და ინტერნეტით მაშინვე შინ აგზავნის. ქვედა სართულზე მდებარე ფაქსითაც, მგონი, მარტო მე ვსარგებლობ.

აქაური მეტროსი არ იყოს, ლამის ტელეფონოფობიაც დამეწყოს, თბილისში დარეკვისაც მეშინია. სამგირვანქიან ბარათს ყვიდულობ, ნომერს ვკრებ და ლაპარაკი ხეირიანად არც დამიწყია, რომ ანგარიშზე უკვე 10 პენია დარჩენილი.

თუმც კმარა, რაც ვიწუწუნე, მატჩის საცქერად მივდივარ.

ანა

მასზე ამბობენ, რომ თამაში არ იცის, მისი სახელი უსაფუძვლოდ განადიდეს და ამას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ანდრე აგასისთან ერთად ანა კურნიკოვა ამჟამად პლანეტის ყველაზე პოპულარული ჩოგბურთელია.

ლონდონში გაზეთს ვერ გადაშლით, 19 წლის რუსის დიდი ფოტო და მის შესახებ ტყუილ-მართალი არ იხილოთ, ქუჩაში ვერ გაივლით, სახლისხელა სარეკლამო პლაკატი არ იყოს გამოფენილი.

რეკლამაზე ნახევრადშიშველი კურნიკოვა ახალგაზრდა გოგონებს სპორტული ბიუსტჰალტერის ტარებისკენ მოუწოდებს. ფირმა „ბერლეიმ“ მეტად ორიგინალური სარეკლამო ტექსტიც შეთხზა პლაკატისთვის — „კორტზე მხოლოდ ბურთები უნდა ხტოდეს“ (რა არ უნდა ხტოდეს, იმედია, თავადაც მიხვდებით).

კოლეგები და ზოგიერთი ჟურნალისტი ანას კორტსმიღმა საქმიანობისადმი ზედმეტ ყურადღებაში ადანაშაულებენ, თუმცა პრესკონფერენციაზე ანამ თავი დაიცვა: „რასაც ვაკეთებ, ჩემი საქმეა და ეს ხელს სულაც არ მიშლის. რაც შეეხება სპორტული ბიუსტჰალტერების

REUTERS ლონდონიდან

ანა კურნიკოვა კოლეგებს მოუწოდებს: კორტებზე მარტო ბურთებმა იხტუნოს

რეკლამას, მათი ტარება გოგონებს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში უწყობს ხელს და ამით, მე სასარგებლო საქმესაც ვაკეთებ.“

პირველ წრეში მეათედ განთესილ სანდრინ ტესტიუსთან შეხვედრისას კურნიკოვას დასამტკიცებელი ჰქონდა, რომ კარგი აღნაგობისა და მამრთა მონუსხვის გარდა, ხანდახან ჩოგბურთის თამაშიც ეხერხება. ამ მატჩის წაგება და ჟურნალისტებისგან მისი ჯვარცმა ერთი იქნებოდა.

რუსის მატჩი ცენტრალურ კორტზე გაიმართა და ესეც კი ჭორიკნობის საბაბი გახდა — რით დაიმსახურა კურნიკოვამ ასეთი პატივი, როდესაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისიც კი პირველ კორტზე გაამწესეს?

გრძელნაწნავა რუსის თამაშისას სხვათაგან განსხვავებული ატმოსფერო სუფევს. წუთი არ გავა, ტრიბუნებიდან ვინმემ „მიდი, ანა!“ არ დაიძახოს, ზოგჯერ კი უფრო საინტერესოსაც გაიგონებთ. მაგალითად, „ანა, ცოლად გამომყევი“, ან „ანა, გააჩინე ჩემგან ბავშვები“ და ა.შ.

კორტზე დაახლოებით 50 ფოტორეპორტიორი იყო და თითოეულის კამერა სწორედ რუსისკენ იყო მიმართული. ტესტიუ მათ ყურადღებას, ალბათ, მაშინაც ვერ მიიქცევდა, ტანზე სულ რომ გაეძრო და იქეთ-აქეთ დაეწყო სირბილი.

მატჩი კი მართლაც კარგი სანახავი გამოდგა. ბევრი იყო ხანგრძლივი გათამაშება, რისკიანი დარტყმები და სულელური შეცდომებიც (რაც ზოგჯერ შეხვედრას არანაკლებ ამშვენებს).

კურნიკოვას 6:5-ზე წვიმა წამოვიდა და თამაში თითქმის ორი საათით შეწყდა. ერთ ნახვად ღირს, როგორ აფარებენ კორტს შალითას, რათა არ დასველდეს. ოციოდ ბიჭი ისე სწრაფად გამოქანდა თავისი მოვალეობის შესასრულებლად, რომ საცოდავი ტესტიუც ლამის ბრეზენტის ქვეშ მოაყოლეს.

მატჩის განახლების შემდეგ რუსი გაცილებით უკეთ ათამაშდა, მეორე სეტში 5:2 დაწინაურდა და მომდევნო გეიმში ორი მატჩ-პოინტიც მისი იყო, მაგრამ კურნიკოვა, რომელსაც ასეთი ძლიერი მეტოქე კარგა ხანია, არ დაემარცხებინა, მოგების პერსპექტივამ დაზაფრა, „საფირმო“ ორმაგ შეცდომებს უხშირა და ზედიზედ ხუთი გეიმიც წააგო.

მესამე ხელი თითქმის მსგავი გამოდგა. რუსი ისევ 5:2 დაწინაურდა, მერე მატჩ-პოინტები ვერ გამოიყენა და მეტოქეს ანგარიში მინიმუმამდე შეამცირებინა. ქომაგთა მასობრივ თვითმკვლელობამდე საქმე მაინც არ მისულა — რუსმა ტესტიუს უშუალო ხელშეწყობით 7:5, 5:7, 6:4 იმარჯვა. შვებით ამოსუნთქვის ხმას ლონდონის ცენტრშიც გაიგებდნენ, გამაყრუებელ ტაშისცემას — ინგლისის სხვა კუთხეებშიც.

ჩემდა გასაოცრად, პრესკონფერენციაზე დარბაზი პირთამდე არ გავსებულა და ვინც მოვიდა, ისინიც აგრესიულად და მტრულად იყვნენ განწყობილნი ანას მიმართ. ეტყობა, მის წაგებას ელოდნენ, წინასწარ შეემზადებინათ დასაცინი სიტყვები (ირონიული შენიშვნები ინგლისელ ჟურნალისტებზე უკეთ არავის ეხერხება) და იმედი გაუცრუვდათ.

სიმართლე გითხრათ, იმედი მეც გამიცრუვდა, ოღონდ სხვა მიზეზით. მარტინა ჰინგისისგან განსხვავებით, „ღვთაებრივი ანა“ ახლოდან პირიქით, ოდნავ უარესად გამოიყურება და საქმეს ვერც იმან უშველა, რომ ჟურნალისტებთან შემოსვლის წინ სარკეში კარგა ხანს ისწორა თმა.

„მე რომ მეზუთასე ჩოგანი ვიყო და ცუდად ვთამაშობდე, ყურადღებასაც არავინ მომაქცევდა“ — გაბაზდა რუსმა და ამაში ნამდვილად ქეთხსიენი. თბილისი — მოსკოვის ავიარეისზე ერთი თანამემამულე სტიუარდესა მას არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ბოლოს კი ცხელ-ცხელ ჭორებსაც მოგახსენებთ. ინგლისში ანას „დეტროიტ რედ უინგსის“ ვარსკვლავი სერგეი ფიოდოროვი ახლავს. როგორც ერთმა რუსმა კოლეგამ მითხრა, კურნიკოვას ნამდვილი ბოიფრენდი სწორედ ის არის და არა პაველ ბურე. ამ უკანასკნელთან დანიშვნის ამბავი კი დიდი ბლეფი იყო. უბრალოდ, ბურეს (და არა კურნიკოვას) ფლორიდაში რეკლამა სჭირდებოდაო.

სხვა ჭორები კი ასეთია: რუსმა უიმბლდონში ნაქირავები ბინიდან მწვრთნელი ერიკ ვან ჰარპენი გააგდო, რადგან ფართობი ეცოტავა; ავსტრალიაში მარკ ფილიპუსისი ტყავიდან ძვრებოდა, რომ კურნიკოვა „შეება“ (ეს თვითმხილველმაც დამიდასტურა).

ანტირეკორდსმენი

ორი კვირის წინ ამერიკელმა ვინს სპედეამ ჩოგბურთის ყველაზე უსიამოვნო რეკორდი დაამყარა — ზედიზედ 22-ჯერ აქამდე არავის წაეგო.

მასპინძლებისა და აშკარად „კარგი ბიჭის“, გრეგ რუზეცკის სამწუხაროდ, სპედეას რვათვიანი კოშმარი სწორედ უიმბლდონის პირველ წრეში დასრულდა, როგორც იქნა, მოიგო და ჟურნალისტებთან შეხვედრისას იუმორის შესანიშნავი გრძნობაც გამოავლინა.

„რა ხდებოდა? უბრალოდ, მთელი ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვან შეხვედრას ველოდი, მინდოდა, ვინმე ბობოლა გამემწარებინა... არა, ისიც მეგონა, რომ ეს არასოდეს დასრულდებოდა. ჩემი მშობლები ლონდონიდან შინ გაემგზავრნენ, როდესაც გაიგეს, რომ რუზეცკის ვხვდებოდი, ხელი ჩაიქნიეს... მატჩის შემდეგ ჯონ მაკინროი ისე გამოქანდა, მეგონა, შვილი შემეძინა.“

რუზეცკის ვკითხე, უახლოეს ხანს რის გაკეთებას აპირებთ-მეთქი. ინგლისელმა, რომელსაც საოცრად წაგრძელებული სახე აქვს, მომიგო, აქედან რაც შეიძლება შორს წავალ და ტელევიზორსაც არ ჩავრთავო. ეს პასუხი გუშინ დილით „ტაიმსის“ პირველ გვერდზე აღმოვაჩინე, გრეგს კი თანამემამულეებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხეს, როგორ თუ წავა, მალე დევისის თასის მატჩი ელისო.

მე ცუდი არაფერი მინდოდა.

ქალები. პირველი წრე: ჯენიფერ კაპარიატი (აშშ) — დომინიკ ვან რუსტი (16 ბელგია) 6:2, 6:4; საბინე აპელმანსი (ბელგია) — როქსანა დრაგომირი (რუმინეთი) 7:6 (7:4), 6:4; მარი პირსი (3 საფრანგეთი) — ნიკოლე პრატი (ავსტრალია) 6:1, 6:3; ვონია სელეში (6 აშშ) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 3:6, 6:2, 7:5; ჯიმ კლაისტერსი (ბელგია) — ნატალი ტოზია (7 საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:2; ჯონჩიტა მარტინესი (4 ესპანეთი) — ანა კრემერი (ლუქსემბურგი) 6:3, 7:6, (7:5); არანჩა სანჩეს-ვიკარიო (9 ესპანეთი) — ჟუსტინ ჰენინი (ბელგია) 6:1, 1:6, 6:1; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:3, 6:1; ლინდსი დევენპორტი (2 აშშ) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:3, 1:0 ტრავმა; ქრისტი ბოუმანისტი (ჰოლანდია) — ჟული ალარი (14 საფრანგეთი) 7:6 (7:4), 0:6, 6:1; ამანდა კეტცერი (12 საფრანგეთი) — მასონა ვაშინგტონი (აშშ) 6:4, 6:2; გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) — ამელი მორესმო (13 საფრანგეთი) 4:6, 6:3, 7:5.

კაცები. პირველი წრე: ტომი ჰაასი (გერმანია) — ნიკოლას კიფერი (13 გერმანია) 5:7, 6:4, 6:2, 6:3; მარკ ფილიპუსისი (10 ავსტრალია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 7:6 (7:3), 5:7, 6:4; არნო დი პასკუალი (საფრანგეთი) — მარკუს ჰიფლი (ავსტრია) 4:6, 6:4, 6:4, 6:7 (5:7), 6:1; ფან-მაიკლ გეგბილი (აშშ) — ლეიტონ ჰიუიტი (7 ავსტრალია) 6:3, 6:2, 7:5; მარკ როსე (შვეიცარია) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:5, 6:3, 7:6 (7:4); რაინერ შუტლერი (გერმანია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:3, 6:7 (5:7), 6:3, 6:2; მარატ საფინი (15 რუსეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 7:6 (7:2), 6:3, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (5 რუსეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:5, 7:5, 7:6 (8:6); გუსტავო კუერტენი (4 ბრაზილია) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:4, 6:7 (5:7), 7:5, 7:6 (7:4); პატრიკ რაფტერი (12 ავსტრალია) — ჯიმი დეულგადო (ბრიტანეთი) 6:3, 7:6 (9:7), 6:2; ანდრე აგასი (2 აშშ) — ტაილერ დენტი (აშშ) 2:6, 6:3, 6:0, 4:0 ტრავმა; არნო კლემენტი (საფრანგეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:3, 3:6, 6:3, 6:4.



REUTERS ლონდონიდან

ვინს სპედეა



გრეგ რუზეცკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ლონდონიდან

ბიჭურებ და მიხარია

ეტყობა, პიტ სამპრასმა ეისი გაახერხა და ამიტომაც კმაყოფილი ჩანს მისი ტურფა ბრიჯიტ უილსონი, რომელიც უიმბლდონის პირველი წრიდანვე ქომაგობს თავის მეჯნურს. სამპრასს მხარდაჭერა ჯერ ნაკლებად სჭირდება, ჩეხი ირჟი ვანეკი უშფოთველად, სამ სეტში შეუმუსრავს.



ქუდლუდიანი

ფოტოზე აღბეჭდილია მსოფლიოში ლუდის ყველაზე პატარა ბარი, რომელიც ადამიანის თავზე ეტევა, ხოლო ეს ლუდის ტრფიალი, დალოცვილ სითხეს ორიგინალური მილით უწყვეტად რომ წრუპავს, რაგბის ფანია, კუნიაში შვიდკაცას ტურნირს უცქერს. რაგბი და ლუდი... ეჰ, კაია კაი ცხოვრება!

გფარავდეთ დროშა

სამეფოს დროშისგან მფარველობა ხანდახან არცთუ გადაჭარბებული ნათქვამია. აგერ, უიმბლდონზე წამოუწვიმია და თუ არა დიდი ბრიტანეთის კოხტა ალამი, მაშ რა იცავს წვიმისგან ტრიბუნაზე წამოსკუპებულ ამ გოგოებს?

REUTERS ლონდონიდან

REUTERS ბერლინიდან

თათუნი

საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის მარცხენა ბორის ბეკერის ლოყაზე (უფრო მხარზე) მოსათათუნებლად შემართულა. ამ ამბის მოწმედ ვასახელებთ გერმანიის პრეზიდენტ იოჰან რაუს, ფოტოს ცენტრში ჯანმრთელად რომ იღიმება. რაუ მასპინძელია, ამბავი კი ბერლინში ხდება, პრეზიდენტის რეზიდენციაში.

ფეხბურთი უსაფრთხო სექსის სამსახურში

ჰოლანდიაში პრეზერვატივებზე მოთხოვნის მკვეთრად აწევას უნდა ველოდეთ: დახლებზე ნარინჯისფერთა საფეხბურთო ვარსკვლავების ფოტოებით დამშვენებულმა პრეზერვატივებმა იძალეს. დავიდსი და კომპანია უსაფრთხო სექსისკენ მოუწოდებენ საზოგადოებას.

REUTERS ამსტერდამიდან

ბრიტანელი ჰონკონგში

REUTERS ჰონკონგიდან

ეს დიდებული ქალაქი უკვე ჩინეთისაა, მაგრამ ყველა ინგლისელმა მასზე ხელი როდი აიღო. სწორედ ჰონკონგის ჰაერს მიაპობს ალბიონელი კოლინ ბოდილი, ვისი განზრახვაც პაწია პლანერით დედამიწის შემოფრენას გულისხმობს, ხოლო რახან ჩინეთი დედამიწის ნაწილია, ბოლოს იქაც ცოტა უფრენია, მერე კი სამხედრო თვითმფრინავებს მიწაზე დაუსვამთ და ჰონკონგს გამოუძევებიათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge